ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 11 ოქტომბერი, 2021 №190 (8719) ფასი: 60 თეთრი

მარგველაშვილი: „სააკაშვილი „ოცნების“ პირობებში ბრალდებული ვერ იქნება“

გვ.2

„მიშას სისხლის დაავადება აქვს. ასე თუ გაგრძელდა, ცოცხალი აღარ გვეყოლება“

გვ.3

მოშიმშილე მე-3 პრეზიდენტი მისმა პირადმა ექიმმა მოინახულა

ნიკოლოზ ყიფშიძე: „დღეს არც მინდოდა საპატიმროს დატოვება, მაგრამ მერე შევხვდი ექთანს და ნახევარი საათი ვლაპარაკობდით იმაზე, როგორ გადავაგოროთ ეს ღამე“



„სააკაშვილი პოლიტიკური მოტივაციით არის გასამართლებული“



გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „ოპოზიციას ენმ-სთან დისტანცირება გაუჭირდება. მათ კატასტროფული შეცდომა დაუშვეს“

„გახარიას მთავარი მოწინააღმდეგე მელია კი არა, „ქართული ოცნებაა“

სოსო ცინცაძე: „ერთადერთი, რაც შეიძლება, „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს, ზუგდიდია, თბილისის დათმობა კი თითქმის ხელისუფლების დათმობას ნიშნავს“

გვ.3

გვ.3

„ნიკა მელიას გამარჯვება მომენტალურად რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ნიშნავს“

رومان გოცირიძე: „ახლა მთავარია, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობას არ დაემუქროს საფრთხე“

გვ.4

გურამ ვახტანგაშვილი: „სააკაშვილის პრეზიდენტობისას რა იყო უარყოფითი და რა — დადებითი, ისტორია გამოაჩენს“

გვ.5

ბათუმში საძიებო-სამაშველო ღონისძიებები დასრულდა. ადგილზე რჩებიან პოლიციის თანამშრომლები და გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები

ISSN 1987-9385

2 თაკო ჩარკვიანი ნიკა მელიას: „შენ გამოცდა ვერ ჩააბარე“

2 თბილისში 40 ბაღი დაიხურა, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა 7 სკოლა

4 ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი მოსკოვშია

5 „აკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ მაღაზიაში გამოიცვალეს სისხლიანი ტანსაცმელი...“

6 ავსტრიის კანცლერი კურცი გადადგა

6 თურქეთში რუსი ჯაშუში დააკავეს

„სააკაშვილი პოლიტიკური მოტივაციით არის გასამართლებული“

დავით ზურაბიშვილი: „ოპოზიციას ენმ-სთან დისტანცირება გაუჭირდება. მათ კატასტროფული შეცდომა დაუშვეს“

იაგო ნაცვლიშვილი

რამდენად სწორად იქცევა ოპოზიცია, როდესაც მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერ აქციაზე არ მიდის? მოახდენენ თუ არა დისტანცირებას ენმ-სგან? არის თუ არა სააკაშვილი პოლიტპატიმარი და რამდენად სწორად იქცევა გახარია? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი დავით ზურაბიშვილი საუბრობს.

– მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი აქციები დაიგეგმა. ერთი აქცია გუშინ იყო. აქციები იქნება 14-შიც. რამდენად სწორია, რომ პარტიები არ უერთდებიან? მოუტანს თუ არა ეს მათ შედეგს და მოახდენენ თუ არა ენმ-სგან დისტანცირებას, რასაც ალბათ ამ ქმედებით ცდილობენ?

– კი, ამის მცდელობა, როგორმე საკუთარი იდენტობა წარმოაჩინონ, მაგრამ ეს მხოლოდ ასე არ გამოვა. ეს პროცესია და ის, რომ ეს პარტიები სრულად იდენტიფიცირდნენ ნაცმოძრაობასთან, ეს ერთ და ორ დღეში არ მომხდარა. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების მერე დაიწყო ეს პროცესი და განსაკუთრებით 2020-ის მერე გახდა ნათელი. ეს პარტიები ნაცმოძრაობასთან ერთად იყვნენ ერთი მიზნით და ერთი რიტორიკით. ბუნებრივია, ასეთ დროს ასოცირება ხდება, რადგან, თუ ხუთი სუბიექტია და ერთ რამეს ამბობს, ბუნებრივია, ვინც ყველაზე დიდი და ძლიერია, იმასთან ხდება ასოცირება. ამ შემთხვევაში ყველაზე ძლიერი და რეიტინგული იყო ენმ და მასთან ასოცირდნენ, არა მარტო იმიტომ, რომ ის ყველაზე ძლიერია, არამედ იმიტომაც, რომ ამ პარტიებმა მთლიანად მიიღეს ის რიტორიკა და დამოკიდებულება ხელისუფლების მიმართ, რომელიც ნაცმოძრაობას ჰქონდა ჯერ კიდევ 2012 წლიდან.

ასე რომ, აქედან გამოსვლა გაუჭირდებათ. ეს ასე უცბად არ მოხდება და არც ის ვიცი, რამდენად მზად არიან. მეეჭვება, რომ ამისთვის მზად იყვნენ. კი ხვდებიან, რომ ამით ვერაფერი მოიგეს, როგორც პარტიებმა.

– ამ კონკრეტულ შემთხვევაში მათი ეს ქმედება ნაციონალურ მოძრაობასთან უფრო ჰგავს თუ მიხეილ სააკაშვილთან?

– მე ამ ორს არ ვასხვავებ ერთმანეთისგან. ამ ხალხის ერთ-ერთი ილუზია და ისინი რომ აღმოჩნდნენ ასეთ დღეში, რომ დაკარგეს იდენტობა და, პრინციპში, შერწყმულნი აღმოჩნდნენ ენმ-სთან, ამის მიზეზი სწორედ ეს არის. მათ ჰქონდათ ილუზია, რომ ენმ და სააკაშვილი სხვადასხვაა. ასე არ არის. იმის მიუხედავად, რომ ნაცმოძრაობაში ბევრი ისეთი ლიდერია, რომლებიც სააკაშვილს არ ჰგვანან არც ქცევითა და მანერით და არც ლაპარაკით. ზოგი მოგვწონს, ზოგი – არა, მაგრამ ამ პარტიის შემკვრელი არის მმართველობის ის 9 წელი, რომელიც ჰქონდა სააკაშვილს. აქედან სხვა რამე რომ გამოვიდეს, მაშინ სააკაშვილიც უნდა მოსცილდეს და, თუ სააკაშვილი მოსცილდება, მაშინ სხვა პარტია იქნება და აღარ იქნება ნაცმოძრაობა.

– ის რეიტინგიც აღარ ექნება, რომელიც ახლა აქვს?

– ბუნებრივია. მართალია, რთულია გაზომვა, უშუალოდ ნიკა მელიას რამდენი აქვს სააკაშვილის გარეშე, მაგრამ სააკაშვილის წილი რომ ძალიან ბევრია ამ რეიტინგში, მე მგონი, ამაში ეჭვი არავის გვეპარება. ასეც არის, ამიტომ არ გამოვა ეს.

– სოციალურ ქსელში ვანო მერაბიშვილმა დაწერა, რომ აქციას „თავისუფლება მიშას“ უერთდება 14-ში. იმ ფონზე, როდესაც მელია ცდილობს მუდმივად მერაბიშვილთან დისტანცირებას, ამის მერე მასაც ხომ არ გაუჭირდება ეს?

– მისთვის სასიამოვნო არ იქნება ეს ამბავი, მაგრამ ვერაფერს იზამს. რა უნდა ქნას? გააფორმებენ ასე, რომ ერი და ბერი ყველა დადგა მიშას გასათავისუფლებლად, ანუ მიშა სააკაშვილი არის არა ნაცმოძრაობის, არამედ ზოგადად ეროვნული ლიდერი, პრეზიდენტი, სიმბოლო და, მსოფლიო რომ გადარეული იყო, ისეთი რეფორმების გამტარებელი. ეს რიტორიკა ვიცით. დანარჩენი პარტიების პრობლემა სწორედ ეს არის. გამიჯვნა იმ მხრივ, რომ აქციაზე არ მიხვიდე, არ ჰყოფნის. უნდა უთხრა, რომ ეს ასე არ არის. უნდა უთხრა, რომ სააკაშვილი არ არის ქართული სახელმწიფოს დამფუძნებელი. უნდა თქვა, რომ ციხის კადრები არ არის გაყალბებული და მართლა იყო ასეთი შემთხვევები.

– ისიც უნდა თქვან, რომ სააკაშვილი პოლიტპატიმარი არ არის?

– სიტყვა პოლიტპატიმრის ხსენებას საქართველოში ცოტა სხვა მნიშვნელობა აქვს. თუ ვლაპარაკობთ იმას, რომ პოლიტიკური მოტივით არის დაკავებული, რასაკვირველია, ასეა. მე ეჭვი არ მეპარება მაგაში. თვითონ დაადასტურა თავად ღარიბაშვილმა. ამ გაგებით ყველა პოლიტპატიმარია, ბაჩო ახალაიაც, ვანო მერაბიშვილიც პოლიტპატიმარი იყო და ყველა – გიგი უგულავაც, ირაკლი ოქრუაშვილიც. აქ პოლიტიკური მოტივი იყო წამყვანი. იმიტომ კი არ იყვნენ დაჭერილი, რომ რაღაცა დაშავებული აქვთ, არამედ იმიტომ, რომ პოლიტიკურად უნდოდათ, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ დაშავებული არ აქვთ.

სააკაშვილს აქვს დანაშაული, გირგვლიანის საქმეზე არ არის დამნაშავე, 7 ნოემბრის საქმეზე თუ ვალერი გელაშვილის ცემაში?!

– გირგვლიანი ცოტა საკამათოა, იმიტომ, რომ შეწყალებას ედავებიან.

– მარტო შეწყალებაზე არ არის ლაპარაკი. აქ არის ლაპარაკი იმაზე, რომ ორგანიზებულად იყო მკვლელობა და სტრასბურის სასამართლოც ამბობდა, რომ სასამართლო სისტემაც ჩართული იყო, პარლამენტიც და ა.შ.

– კი, მაგრამ უსამართლობის განცდასა და შერჩევით სამართალზე მიუთითებს ის, რომ ასევე ჩართულები იყვნენ მოსამართლეები და დღეს ისინი დაწინაურებული ჰყავთ.

– კი ბატონო. ამ ხელისუფლების პრობლემა სწორედ ეგ არის, რამდენად აქვთ მორალური უფლება, რომ სხვა განსაჯონ. თვითონ არღვევენ ყოველგვარ მორალს და მთლიანად პოლიტიზებული აქვთ სასამართლო სისტემა. ეს არის ხელისუფლების სისუსტე. მაგრამ, მე აქ ვამბობ იმას, აქვს თუ არა დანაშაული ჩადენილი. თუმცა, როდესაც ხმარობენ სიტყვას პოლიტპატიმარი, გულისხმობენ, რომ უდანაშაულოა, რაც ასე არ არის, მაგრამ პოლიტიკური მოტივით არის გასამართლებული.

რამდენად შეძლებენ პარტიები ნაცმოძრაობასთან დისტანცირებას, ეჭვი მეპარება. იმდენად შეერწყნენ ბოლო ერთ წელიწადში, რომ საკმაოდ მძიმე პროცესი იქნება, თუ ამას გაბედავენ.

– მორალურად რამდენად გამართლებულია, როდესაც ეს დაიწყეს ახლა, სააკაშვილის ციხეში ყოფნისას?

– ამორალური რა არის ამაში?!

– რამდენად გაუგებს ამომრჩეველი, კიდევ ხომ არ დაკარგავენ ამომრჩეველს?

– არ ჰყავთ ამომრჩეველი. რაც ჰყავთ, ეს არის ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველი. ის ძირითადად ხმას აძლევს ნაციონალურ მოძრაობას. 1 და 2% რომ აქვს, ეს ნიშნავს, რომ ამომრჩეველი პრაქტიკულად გაგეექცა და ვიღაცა ხმას გაძლევს წმინდა პიროვნული მოტივაციით. მაგალითად, „გირჩს“ ყველაზე ნაკლებად ჰქონდა ეს პრობლემა. მათ მოახერხეს, რომ საკუთარი იდენტობა შექმნეს, მაგრამ ნელ-ნელა კარგავენ ამას, თან ახლა ორად გაიყვნენ და ამომრჩეველს უჭირს გაგება, უბრალოდ, ზურაბ ჯაფარიძე უფრო რეიტინგულია და მეტი იმიტომ აქვთ, თორემ იდეურად დიდად არ განსხვავდებიან.

– ენმ-შიც ჩანს სხვადასხვა მიმდინარეობა.

– რა თქმა უნდა. ყველა პარტიაშია ასე. „რესპუბლიკურ პარტიაშიც“ იყო ასე. „ოცნებაში“ ყველაზე ნაკლებად არის ასე, რადგან მარიონეტების კრებულია, თუმცა იქაც არის. დიდი პარტია როცაა და ათასობით ადამიანს მოიცავს, იქ, რა თქმა უნდა, იქნება განსხვავებები და სიმპათიური და ნაკლებად სიმპათიური ფიგურები. მთავარია, რომ მისი გარჩევა უნდა შეგვეძლოს.

– 2020-ის არჩევნებთან რა სხვაობაა? იქაც იყო დარღვევები და დღესაც. მაშინ არ აღიარეს შედეგები, დღეს კი ფაქტობრივად აღიარეს. ეს ნიშნავს, რომ შეცდომები გაიაზრეს?

– მე მგონია, რომ გაიაზრეს შეცდომები. როგორც სჩვევიათ ხოლმე, იტყვიან, რომ მაშინაც სწორად იქცეოდნენ და ახლაც. 2020-ში კატასტროფული შეცდომები დაუშვეს, არა იმდენად ნაცმოძრაობამ, არამედ უფრო სხვა პარტიებმა. მათი მხრიდან ბოიკოტისთვის შეერთება სუიციდის ტოლფასი იყო. ახლა მცდელობა, რომ რაღაცნაირად გამოძვრნენ, ან გამოუვათ, ან არა.

რად უნდა ლაპარაკი, რომ შეცდომა დაუშვეს. ოქმებში ისევ ისეა არეულობა, როგორც იყო. ახლა უცხოელების შეფასებები კიდევ უფრო მძაფრია, ვიდრე 2020-ში იყო. არანაირი გაუმჯობესება არ მომხდარა არჩევნებზე. ის გაყალბება არ არის, რომ 10 და 20%-ზე იყოს ლაპარაკი, მაგრამ 10, 20 და 30 ხმა შეიძლება გადამწყვეტი აღმოჩნდეს საკრებულოებში, ვისი იქნება უმრავლესობა. წინა არჩევნებზე ოქმების გადათვლა რომ მოეთხოვათ, შეიძლება, ხელისუფლებას უმრავლესობა აღარ ჰქონოდა. ჯერ გახარიას ხალხი არ იყო გამოსული. ახლა სწორი გზით წავიდა ოპოზიცია.

– გახარიას პოზიცია სწორია?

– ერთადერთი პოზიციაა, რომელიც მას შეიძლება ჰქონდეს. არ შეიძლება, მას სხვა პოზიცია ჰქონდეს. ის ვერ დაიჭერს ვერც ერთ მხარეს ცალსახად. ვერ შევა ვერც ერთ მხარესთან და შეეცდება, რაღაც პოლიტიკური სარგებელი ნახოს ამ პროცესიდან, რაც მისი მხრიდან სწორია. საკრებულოებში თანამდებობების განაწილებაში ვისთან გაერთიანდება და ვისთან – არა, ეს უკვე კონკრეტიკაა.

თაკო ჩარკვიანი ნიკა მელიას: „შენ გამოცდა ვერ ჩააბარე“

– შენ, ჩემო მომავალო თბილისის მერო, დღეს, აი, აქ უნდა მდგარიყავი და შენ გამოცდა ვერ ჩააბარე.

ასე მიმართა გუშინ, 10 ოქტომბერს, თაკო ჩარკვიანმა ნიკა მელიას.

ჩარკვიანის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ რუსთაველის გამზირზე გამართულ აქციაზე ნიკა მელია არ მივიდა, ის 14 ოქტომბერს ნაციონალური მოძრაობის მიერ დაგეგმილ აქციაზე აუცილებლად მივა.

– თბილისის მერობა გადაწყვიტე და აქ უნდა იყო, აქ უნდა ყოფილიყავი. მე შენ განზრახ აღარ დაგირეკე. აქედან მოგმართავ, ეს არის ჩემი გამოცდა შენდამი, შენს მამას თბილის ქალაქში 100-იანზე აქვს გამოცდა ჩაბარებული, შენ ჯერ არ ჩაგიბარებია. მინდა, რომ 30 ოქტომბრამდე მაგრად ჩააბარო, თორემ თბილისმა ორიანის დაწერა იცის. მე გეუბნები ამას შენ – ზუსტად ისე მინდა ჩააბარო გამოცდა, როგორც უმაგრესმა ანზორ მელიამ ჩააბარა ეს გამოცდა თბილისელებთანაც, ზუგდიდელებთანაც და მთელ საქართველოსთან. და მაინც, პრევენციულად გეუბნები ამ შენიშვნას – შენ, ჩემო მომავალო თბილისის მერო, დღეს, აი, აქ უნდა მდგარიყავი და შენ გამოცდა ვერ ჩააბარე, მაგრამ მე 14 ოქტომბერს აუცილებლად მოვალ და გასწავლი, რომ საქართველოსთვის გამოცდა რუსთაველზე ბარდება, – განაცხადა ჩარკვიანმა.

„თავისუფლება მიშას!“

ნაციონალური მოძრაობა 14 ოქტომბერს თბილისში აქციას გამართავს

ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე ნიკა მელიამ მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლების მოთხოვნით თბილისში მასშტაბური აქცია დააანონსა. მან საზოგადოებას 14 ოქტომბერს, 18:00 საათზე, თავისუფლების მოედანზე შეკრებისკენ მოუწოდა.

– უნდა შევიკრიბოთ ძალიან, ძალიან ბევრი თბილისში 14 ოქტომბერს, 18:00 საათზე. იმდენი უნდა შევიკრიბოთ, როგორც არასდროს, გავლილი 10 წლის განმავლობაში არ შევკრებილვართ. მთავარი მიზეზი შეკრების რა არის – ჩვენი, ცალკე აღებული ნაციონალური მოძრაობის ვალია, რომ მიხეილ სააკაშვილი იქ არ იყოს, სადაც მისი ადგილი არ არის. ეს არის აბსოლუტურად ღია აქცია და ვეპატიჟებით ყველას იმისთვის, რომ მთელმა მსოფლიომ და საერთაშორისო საზოგადოებამ დაინახოს და გაიგოს, რომ ასე არ არის, ბიძინა ივანიშვილო – ვისაც გინდა, დაიჭერ, ჩასვამ და შენი ბინძური პროპაგანდით ტვინს გამოურეცხავ. ამიტომ სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ ამ თარიღს, – განაცხადა მელიამ.

ამასთან, ნიკა მელიას თქმით, ოპოზიციამ არჩევნებამდე დარჩენილ დღეებში მთელი ქვეყნის მასშტაბით „სამაგალითო ბრძოლა უნდა აჩვენოს“.

– ძალიან მშვიდი ვარ, მინდა, ინტონაცია შევარჩიო, რამეთუ ტრაგედია ტრიალებს, მაგრამ ვეცდები, ივანიშვილს ძალიან რბილად ვუთხრა – ამ გამარჯვებას ბოლომდე მივიყვანთ, მაგრამ აქვე მინდა გავაფრთხილო, რომ 20-ვე ოლქში, სადაც არჩევნები ჩატარდება 30 ოქტომბერს და სადაც ჩვენი ხალხის თავგანწირვით, ბრძოლით, ერთგულებითა და ერთიანობით მოვიპოვებთ გამარჯვებას და ამას არავის გავატანთ, – განაცხადა მელიამ.

თბილისში 40 ბაღი დაიხურა, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა 7 სკოლა

ქვეყანაში კორონავირუსით ინფიცირების დინამიკა მზარდია. სურათი ყოველდღიურად უარესდება და, თუ მომდევნო კვირის განმავლობაში ეს ტენდენცია შენარჩუნდა, ეპიდემიოლოგები პანდემიის მეხუთე ტალღის დაწყების შესახებ განაცხადებენ. ეს ყველაფერი ხდება იმ ფონზე, რომ კვლავ საგანგაშოდ დაბალია იმუნიზაციის ტემპი.

სასწავლო პროცესის დაწყებამ ეპიდემიოლოგიურ მდგომარეობაზე იმოქმედა. 5 დღეში მარტო თბილისში 40 ბაღი დაიხურა, ვირუსი 22 პედაგოგსა და 17 სააღმზრდელო დაწესებულების თანამშრომელს დაუდასტურდა, არიან ინფიცირებული ბავშვებიც.

ერთი კვირის მონაცემებით, დისტანციურ სწავლებაზე გადავიდა 7 სკოლა და ცალკეული 90 კლასი. თუ ინფიცირებულთა რაოდენობის ზრდა გაგრძელდება, ქვეყნის მთავარი ეპიდემიოლოგი არ გამორიცხავს, საკოორდინაციო საბჭოს გარკვეული რეკომენდაციების ამოქმედების მოთხოვნით მიმართონ.

მარგველაშვილი: „სააკაშვილი „ოცნების“ პირობებში ბრალდებული ვერ იქნება“

– ამ ხელისუფლების პირობებში მიხეილ სააკაშვილი ბრალდებული ვერ იქნება, – ამის შესახებ საქართველოს მეოთხე პრეზიდენტმა ტვ პირველთან განაცხადა.

გიორგი მარგველაშვილის თქმით, მიხეილ სააკაშვილის ნაბიჯის მნიშვნელობა საათობრივად იზრდება და მისი საკანში გამომწყვდევა „ქართული ოცნებისთვის“ პრობლემის მოხსნას სრულებით არ ნიშნავს.

– მე არასდროს ვყოფილვარ სააკაშვილის ან მეგობარი, ან მისი პოლიტიკის გამზიარებელი, ყოველთვის ჩვენ ვიყავით მოწინააღმდეგე ბანაკებში. მაშინაც კი, როდესაც ის აღარ იყო პრეზიდენტი და მე ვიყავი პრეზიდენტი, სააკაშვილს არც ერთხელ ჩემ მიმართ სიტყვა არ მოუზომია იმ ფონზე, რომ მე არც ერთხელ, როგორც პრეზიდენტს, მისთვის არ მიპასუხია.

ჩვენ არ გვაკავშირებს მეგობრობა, მაგრამ, არ შეიძლება, რომ მე არ ვაღიარო, მისი გადაწყვეტილებისა და ნაბიჯის სიმტკიცე და ამ ნაბიჯის მნიშვნელობა საათობრივად იზრდება. ეს არის ის, რაც უნდა გაიაზროს ამ ჯგუფმა, რომელსაც დღეს მმართველობის სადავეები ხელში უკავია. მათ უნდა იცოდნენ, რომ ს�ააკაშვილი ციხეში არ არის არანაირი პრობლემის გადაწყვეტა მათთვის ამ ხელისუფლების პირობებში, ამ ხელისუფლებასთან მიმართებაში სააკაშვილი ვერ იქნება ბრალდებული, – განაცხადა მარგველაშვილმა.

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ნიკა მელიას გამარჯვება მომენტალურად რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას ნიშნავს“

რომან გოცირიძე: „ახლა მთავარია, მიხეილ სააკაშვილის ჯანმრთელობას არ დაემუქროს საფრთხე“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო პერიოდის პოლიტიკურ პროცესებს, ჩატარებულ არჩევნებს, წინ მეორე ტურია, რა მოლოდინი გაქვთ?

– ახლა ძალიან მნიშვნელოვან ეტაპზე ვდგავართ. ისედაც ნათელია, როდესაც ქვეყანაში ყველა დიდი ქალაქი ზურგს შეგაქცევს და დამარცხდები და დამარცხებაში მარტო ის არ იგულისხმება, რომ საკრებულოებში ჩვენ მეტი ამომრჩეველი გვეყოლება, ყველა დიდ ქალაქში ჯამურად ოპოზიციამ გაცილებით მეტი ხმა აიღო. ამომრჩევლის აბსოლუტურმა უმრავლესობამ ოპოზიციას დაუჭირა მხარი. 7 რაიონიდან 40%-ს „ქართული ოცნება“ გადასცდა მხოლოდ ორში, დანარჩენში უფრო დაბალი აქვს, თანაც ამ გაყალბების პირობებში. როდესაც მთელი ქვეყნის დიდი ქალაქები უარს გეუბნებიან, ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი მომდევნო სრულიად პროპორციული საარჩევნო სისტემით ხელისუფლება იცვლება.

– მეორე ტურში სხვა შედეგები იქნებაო, ასე ამბობს ხელისუფლება...

– ვნახოთ, რა იქნება. დღეს ჩვენი პარტნიორებიც უკვე იმ ენით ლაპარაკობენ, რა ენითაც ოპოზიცია, რომ ამ არჩევნებშიც იყო ძალადობა, იყო მოსყიდვა, იყო მუქარა, სუსის როლი, ადმინისტრაციული რესურსი და ასე შემდეგ. ამ ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლების სასარგებლოდ ხმები შემოვიდა სოფლად დასახლებული მოსახლეობისგან. ეს იმიტომ, რომ სოფლად ხელისუფლებას ზეწოლის მეტი შესაძლებლობა აქვს. იქ მოსახლეობა უფრო დაუცველია, ქალაქთან შედარებით, ამიტომ მარტივად გამოსდით ზეწოლა. ასევე ეთნიკურად დასაქმებულ სოფლებშიც ახერხებს ხელისუფლება ზეგავლენის მოპოვებას. ტელევიზია არ აღირსეს ამ ხალხს. ამიტომ ვაქცინაციის კუთხითაც სავალალო მდგომარეობაა, არ იცრება მოსახლეობა, რადგან არაფერი იცის ვაქცინაციის სიკეთეებზე. ეს ყველაფერი გვიჩვენებს, თუ რამდენად იზოლირებულია ეს მხარეები სხვა რეგიონებისაგან.

– რა მოლოდინი გაქვთ მეორე ტურში?

– მეორე ტურში, რა თქმა უნდა, იქნება სერიოზული ბრძოლა და ყველგან გვაქვს გამარჯვების შანსი. ისეთი ქალაქები, როგორებიც არის ბათუმი, ზუგდიდი, სენაკი, ქუთაისი, რუსთავი და კიდევ ბევრი სხვა, აი, ამ ქალაქებში „ქართული ოცნების“ დამარცხება იქნება ერთი დიდი ბზარის შეტანა ამ ხელისუფლების ფუნდამენტში.

– თბილისის მოგება გაგიჭირდებათ?

– აი, თბილისში ნიკა მელიას გამარჯვება ამ ხელისუფლების დამთავრებას ნიშნავს. ნიკა მელიას გამარჯვება ნიშნავს მომენტალურად რიგგარეშე არჩევნების ჩატარებას.

– არის იმის შანსი, რომ მელიამ თბილისში გაიმარჯვოს?

– რა თქმა უნდა, არის. თბილისში სერიოზული შანსები გვაქვს. ამ კვირიდან დაიწყება მაქსიმალური მუშაობა. ჩვენ ახლა ორ ფრონტზე გვიწევს ბრძოლა. ერთია საარჩევნო კამპანია და მეორე ტური, ხოლო მეორე ფრონტი მიხეილ სააკაშვილის გათავისუფლებაა.

– მივადექით სააკაშვილის თემასაც, მის პატიმრობას. რატომ ჩამოვიდა, მიზანმიმართულად ჩაჯდა თუ არა ციხეში? რას იტყვით ამ ყველაფერზე?

– მოგახსენებთ ამაზეც. ჩვენ ორ ფრონტზე გვიწევს დღეს ბრძოლა და ეს ორი საკითხი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. მეორე ტურში გამარჯვება და პირველ რიგში თბილისში გამარჯვება იმას ნიშნავს, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დევნაც დამთავრდება, რადგან მომენტალურად შეიცვლება ხელისუფლება, ამ ქვეყანაში ერთხელ და სამუდამოდ დამთავრდება პოლიტიკური მართლმსაჯულება და ქვეყანა გადავა კოალიციურ მმართველობაზე. ეს იმას არ ნიშნავს, რომ რიგგარეშე არჩევნებამდე მიხეილ სააკაშვილი საპატიმროში უნდა იყოს. ის დაუყოვნებლივ უნდა გათავისუფლდეს.

– არსებობს რაიმე სამართლებრივი გზა, რომ ის გამოუშვან?

– რა თქმა უნდა, არსებობს რამდენიმე გზა. ერთია პრეზიდენტის მიერ შეწყალება, თუმცა მან განაცხადა, რომ არ შეიწყალებს. ასევე აცხადებდა უგულავაზე, ოქრუაშვილზე და რურუაზე, მაგრამ შეიწყალა. მეორე გზაა პარლამენტში ამნისტიის მიღება, მესამე გზაა სტრასბური, თუმცა სტრასბური ძალიან შორი გზაა, ხოლო პირველი ორი ყველაზე მოკლეა. ასევე არის კიდევ ერთი გზა – უკრაინის მოქალაქეობის ფაქტორის გამოყენება, უკრაინისთვის გადაცემა, რაც ნიშნავს მომენტალურად დევნის შეწყვეტას. ამის შემდეგ კი სააკაშვილს თავისუფლად შეეძლება გადაადგილება მთელ მსოფლიოში.

– თქვენ რას ელით? ხელისუფლება კატეგორიულ უარს ამბობს მის გათავისუფლებაზე.

– იქნება ძალიან დიდი საერთაშორისო ზეწოლა. თუ ეს დროში გაიწელა, სამწუხაროდ, სააკაშვილის მდგომარეობა დამძიმდება. შესაძლოა, ძალიან სერიოზული ზიანი მიადგეს მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას. ამიტომ საჭიროა დაუყოვნებლივ ისეთი მექანიზმების გამოძებნა, რომ მიხეილ სააკაშვილმა დროზე შეწყვიტოს შიმშილობა, ხოლო შიმშილობის შეწყვეტა დამოკიდებულია მის გათავისუფლებაზე. ამიტომ ხელისუფლებამ დროულად უნდა მიიღოს შესაბამისი ზომები.

– ბატონო რომან, ორი დღის წინ პენიტენციარულმა სისტემამ გააკეთა განცხადება, რომ მიხეილ სააკაშვილმა საკვების მიღება დაიწყო. როგორ გავიგოთ ეს განცხადება?

– ეს სისულელეა! წყალსა და თაფლს თუ იღებს, რა საკვებია წყალი ან თაფლიანი წყალი?! ესეც მათი ერთ-ერთი უზნეო განცხადებაა. ამით იმის თქმა უნდათ, თითქოს მიხეილ სააკაშვილი არ შიმშილობს. მაშინ გამოდის, მათ უნდათ, რომ სააკაშვილმა მშრალი შიმშილობა დაიწყოს. სითხის გარეშე შიმშილობის მეხუთე დღეს ადამიანი კვდება. რა, აქეთკენ მოუწოდებენ?! ძალიან უზნეო განცხადებებს აკეთებენ. არა მარტო ახლა, არამედ მანამდეც მათ მიერ გაკეთებული განცხადება, მითითება იმაზე, რომ მიხეილ სააკაშვილის მდგომარეობა დღეს სხვაა და შესვლამდე სხვა იყო, უზნეოა. იმდენად უგუნურები არიან, რომ არ იციან ელემენტარულად პოლიტიკური ცხოვრების ეთიკა და რა ენა გამოიყენონ. 21-ე საუკუნეში დიაგნოზებით არავინ ლაპარაკობს. ასე ლაპარაკობდნენ 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში.

– ბატონო რომან, როდესაც საქართველოში მოდიოდა, მიხეილ სააკაშვილი ხომ იცოდა, რომ ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა?

– კი, რა თქმა უნდა, მიშა შეგნებულად წავიდა ამ სვლაზე.

– აბა ახლა რატომ შიმშილობს და გათავისუფლებას რატომ ითხოვს, ასე მალე რომ არავინ გამოუშვებდა, ესეც ხომ უნდა სცოდნოდა?

– მან იცოდა, სად მოდიოდა და რა ელოდა.

– მაშინ, ვისი იმედი ჰქონდა, საერთაშორისო თანამეგობრობის?

– მათიც, რა თქმა უნდა, თუმცა პირველ რიგში – საკუთარი ხალხის, მათი მხარდაჭერის, თუნდაც არჩევნების შედეგების. არჩევნების შედეგები აჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მიდის.

– ნაციონალური მოძრაობის წარმატება პირველ ტურში სააკაშვილის კისერზე, მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებზეა? ვგულისხმობ მის ჩამოსვლას. რომ არა ეს, ეს შედეგი იქნებოდა?

– მთლად სწორი ფორმულირება არ არის. ეს შედეგი განპირობებული იყო ჩვენი ხანგრძლივი ბრძოლით. რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილი ყოველთვის იყო ფაქტორი. ის ყველა არჩევნებში

მონაწილეობდა, ყველა სოფლის შეხვედრაშიც კი სკაიპით ან ტელეფონით ერთვებოდა, არასდროს ყოფილა განზე პოლიტიკური ცხოვრებისაგან. ის ყოველთვის აქ იყო. უბრალოდ, ახლა ფიზიკურადაც აქ არის. გავლენა მოახდინა წინა პერიოდში შესრულებულმა სამუშაომ და, რა თქმა უნდა, მისმა ფაქტორმაც.

– თუკი ის მზად იყო ამ ნაბიჯის გადასადგმელად, მოდიოდა და ზუსტად იცოდა, რომ ციხეში ჩაჯდომა მოუწევდა, მაშინ, ასე მალულად რატომ შემოვიდა, რატომ შეცვალა მარშრუტი?

– ის რომ ჩამოსულიყო თვითმფრინავით, იმ წუთებშივე დააკავებდნენ ტრაპზე. ამ ფორმით მისი დაბრუნება მთელმა მსოფლიომ გაიგო, თანაც გაიგო ძალიან მძაფრი ფორმით, გარდა ამისა, თავს ლაფი დაასხა ხელისუფლებას. დადიოდა, მოიარა მთელი საქართველო, ფოთიდან ბათუმში, ბათუმიდან სამეგრელოში, შემდეგ – ქუთაისში. ქალაქიდან ქალაქში დასეირნობდა და ამაზე მეტი დაცინვა ხელისუფლებისთვის რა შეიძლება იყოს?! შინაარსს აძლიერებს ფორმა და, რა ფორმითაც ეს მოხდა, ძალიან დამამცირებელი იყო ხელისუფლებისათვის.

– სანამ მეორე ტური არ დასრულდება, ალბათ არც არავინ განიხილავს მის გათავისუფლებას, ან მერე რა იქნება, რას ელოდებით?

– ახლა მთავარია, მის ჯანმრთელობას არ დაემუქროს საფრთხე და დანარჩენი პროცესში გამოჩნდება.

„მიშას სისხლის დაავადება აქვს. ასე თუ გაგრძელდა, ცოცხალი აღარ გვეყოლება“

მოშიმშილე მე-3 პრეზიდენტი მისმა პირადმა ექიმმა მოინახულა

– სიტუაცია დამძიმდა... მიშას აქვს სისხლის დაავადება. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილის პირადმა ექიმმა ნიკოლოზ ყიფშიძემ გუშინ, 10 ოქტომბერს, რუსთავის მე-12 სასჯელაღსრულების დაწესებულების დატოვების შემდეგ „მთავარი არხის“ ეთერში ისაუბრა.

– სიტუაცია დამძიმდა... მისი მდგომარეობა გაუარესდა, საკმაოდ გაუარესდა... ორი დღის წინ სულ სხვანაირად გამოიყურებოდა... უარს ამბობს თაფლის და წვენების მიღებაზე და ახლა მხოლოდ წყალს სვამს... მიშას აქვს სისხლის დაავადება, თალასემია. მე არასდროს მითქვამს ეს ტელევიზიაში და დღეს მომცა ამის გასაჯაროების უფლება. ამ სისხლის დაავადების დროს აბსოლუტურად არ შეიძლება შიმშილი. ეს იწვევს ისეთ ცვლილებებს, რომლის რევერსი არ არსებობს... უფრო მძიმედ დადის, უჭირს ლაპარაკი, აწუხებს, რომ ცუდადაა, – განაცხადა ნიკოლოზ ყიფშიძემ.

მისივე თქმით, უკეთესობას არ ელოდება და აუცილებელი გახდება მიხეილ სააკაშვილის საავადმყოფოში გადაყვანა.

– ასე თუ გაგრძელდა, პრეზიდენტი ცოცხალი აღარ გვეყოლება, – განაცხადა ნიკოლოზ ყიფშიძემ, – დღეს არც მინდოდა საპატიმროს დატოვება, მაგრამ მერე შევხვდი ექთანს და ნახევარი საათი ვლაპარაკობდით იმაზე, როგორ გადავაგოროთ ეს ღამე, ხვალ ხვალ იქნება, მერე ვნახოთ, როგორ იქნება. ალბათ, უნდა გადავიყვანოთ საავადმყოფოში, ხვალ თუ არა, უკვე ზეგ უნდა გადავიყვანოთ... ის შიმშილობდა 10 დღე, ოფიციალურად ასე ვლაპარაკობთ, მაგრამ ეს არ არის 10 დღე, მე მგონი, 14-15 დღეა უკვე. მე არ ვიცი, როგორ ჩამოვიდა საქართველოში, არ ვიცი, როგორ ჩამოვიდა, მაგრამ ეს კი მითხრა, რომ არაფერი უჭამია გზაში და ბათუმში რომ იყო და დადიოდა, იქ საკვები არ ჰქონია, – თქვა მიხეილ სააკაშვილის პირადმა ექიმმა.

„გახარიას მთავარი მოწინააღმდეგე მელია კი არა, „ქართული ოცნებაა“

სოსო ცინცაძე: „ერთადერთი, რაც შეიძლება, „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს, ზუგდიდია, თბილისის დათმობა კი თითქმის ხელისუფლების დათმობას ნიშნავს“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო სოსო, არჩევნების მეორე ტურში როგორია ოპოზიციის შანსები და წარმატება რაზე იქნება დამოკიდებული?

– რაც შეეხება თბილისს, თბილისში კალაძემ რესურსი ამოწურა. არჩევნებზე მისაყვანი და მიმსვლელი მისული და მიყვანილია, მელიას კი, მათემატიკური გათვლით, თეორიული შანსი რჩება. ვგულისხმობ მესამე, მეოთხე ადგილზე გასული ოპოზიციონერი კანდიდატების ამომრჩევლების ხმებს. თუმცა, თუ პოლიტიკას დავუბრუნდებით და არა მათემატიკურ გათვლას, ერთადერთი, რაც შეიძლება, „ქართულმა ოცნებამ“ დათმოს, ზუგდიდია, თბილისის დათმობა კი თითქმის ხელისუფლების დათმობას ნიშნავს, რაც „ოცნების“ მხრიდან გამორიცხულია. მეტიც, როგორც ვხედავთ, მმართველი პარტია ზუგდიდსაც არ დათმობს უომრად, თუმცა მამა მელიას შანსი მეტი აქვს. რაც შეეხება შვილის შანსებს თბილისში, პოლიტიკური რეალობიდან გამომდინარე, აქ იმედიანად ყოფნა ძალიან რთულია.

ამას ვამბობ ჩვენი რეალობიდან გამომდინარე, თორემ ჩეჩენთში გუშინწინ ხელისუფლებაში მყოფმა მილიარდერმა არჩევნები წააგო, ოპოზიციას გამარჯვება მიულოცა და კოალიცია შესთავაზა.

– თითქმის ათპროცენტიანი სხვაობაა. როგორი უნდა იყოს ნიკა მელიას გზავნილები?

– არ იყო სწორი კალაძისთვის ციხის შეპირება. ასე პირდაპირ არ უთქვამს, მაგრამ კორუფციული სქემების გამოაშკარავებასა და პროკურატურაზე ისაუბრა. კალაძეს სხვა გზა არ დარჩენია, დასაშვები თუ დაუშვებელი ილეთები უნდა გამოიყენოს, ყველა გზას უნდა მიმართოს, ოღონდ მეორე ტური არ წააგოს. თუმცა რეპუტაცია, როგორც ქალაქის მერისა, უკვე საგრძნობლად შელახულია. ამიტომ, რომც გაიმარჯვოს, ეს მისი უკანასკნელი გამარჯვება იქნება.

რთული სათქმელია, რა უნდა იყოს გზავნილი იმ ფონზე, როდესაც ასობით საჩივრიდან არც ერთი არ არის სასამართლოს მიერ დაკმაყოფილებული. ეს სერიოზულ ეჭვებს იწვევს. იქ ჭკვიანი ხალხი რომ იყოს, რამდენიმე საჩივარს ზრდილობისთვის მაინც დააკმაყოფილებდა.

როგორც ჩანს, ჩვენი დასავლელი მეგობრებიც შეეგუვნენ იმას, რომ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში სხვანაირი არჩევნები არ ჩატარდება. მათთვის სრულიად წარმოუდგენელია ის, რაც, მაგალითად, ავსტრიაში მოხდა. ავსტრიის პრემიერი სებასტან კურცი პროკურორის ეჭვის გამო გადადგა, რომელსაც სასარგებლო მასალის მომზადებისთვის ბრალად ჟურნალისტების მოქრთამვა ედება. წარმოგიდგენიათ, საქართველოში რამდენმა წელმა უნდა გაიაროს, რომ პროკურორმა პრემიერის მიმართ ასეთი ეჭვი გამოთქვას?! დღეს ეს სასაცილოდაც არ გვეყოფა. ჩვენ ვერ აღვიქვამთ იმას, რომ სულ სხვა სამყაროში ვცხოვრობთ. ჩვენ ვეგუებით არსებულს და ეს გვგონია ნორმა.

– გახარიას ხმები სად წავა? გამორიცხავთ, რომ გახარიამ სხვა გადაწყვეტილება მიიღოს და პოლიტიკური გათვლა გააკეთოს?

– არა, არა. გახარიაც არ არის ჩამოყალიბებული პოლიტიკოსი. გახარიაც ნეოფიტია. თანამდებობაზე ყოფნა არ ნიშნავს პოლიტიკოსობას.

– დასავლეთში პოლიტტექნოლოგია ვისწავლეო.

– არ ეტყობა. შეიძლება, მოისმინა, მაგრამ პრაქტიკაში ვერ განახორციელა. გახარიას მთავარი მოწინააღმდეგე დღეს მელია კი არა, „ქართული ოცნებაა“ და ამას ვერ ხედავს. რომაელებმა ჯერ კიდევ 40 საუკუნის წინ თქვეს, ჩემი მტრის მტერი ჩემი მოკავშირეაო. ამას ვერ აცნობიერებს გახარია. გახარიას შეუძლია, სწორი პოლიტიკური სვლით გაზარდოს თავისი ამომრჩეველი და სამომავლოდ პოზიციები ერთიორად გაიმყაროს.

რაც შეეხება ოპოზიციას, მათ გახარიასთან რომ ემუშავათ არა ემოციაზე გათვლით, არა თინა ბოკუჩავას, არამედ პოლტკორექტული, დიპლომატიური ენით, დღეს ბევრად მომგებიან მდგომარეობაში იქნებოდნენ. მე ამაზე მთელი წინასაარჩევნო კამპანია ყურადღებას ვამახვილებდი. ოპოზიციას მოვუწოდებდი, რომ მათი ტაქტიკა გახარიასთან მიმართებით სწორი არ იყო. მეორე ტურში შეიძლება გახარიას ხმები გადამწყვეტი აღმოჩნდეს.

ყოველივე ეს მიანიშნებს იმაზე, რომ ოპოზიცია არ არის ძლიერი, არ არის ერთიანი, რაც ყოველ ნაბიჯზე ჩანს, თორემ, ყველა გათვლით, უცხოელი ექსპერტი რომ ჩამოიყვანონ და თბილისის პირველი ტურის შედეგები დაუდო, გეტყვით, რომ მეორე ტურში ოპოზიცია იმარჯვებს, თუმცა, როგორც გითხარით, ამას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს „ქართული ოცნება“, რადგან ეს მისთვის ხელისუფლების დათმობის ტოლფასი წაგება იქნებოდა.

„სააკაშვილის პრეზიდენტობისას რა იყო უარყოფითი და რა – დადებითი, ისტორია გამოაჩენს“

გურამ ვახტანგაშვილი: „მე ჩემი დასკვნა გაკეთებული მაქვს, ქართველმა ხალხმა უნდა იცოდეს სიმართლე“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი მაჟორიტარი დეპუტატი ლიახვის ხეობიდან გურამ ვახტანგაშვილი პასუხობს.

– ბატონო გურამ, იფიქრებდით, რომ სააკაშვილს ციხეში ნახავდით?

– მოულოდნელი არაფერია 21-ე საუკუნეში. ისეთი ცხოვრებაა, ყველაფერი მოსალოდნელია.

– როგორ შეხვდით მის დაპატიმრებას?

– მაინც პრეზიდენტი იყო.

– მისი პარტიელები ამბობენ, არაფერი ჩაუდენიაო. თქვენ რას ფიქრობთ?

– თავიდან კარგად დაიწყო, მაგრამ 2008 წლის ცხინვალის ომის შემდეგ უკვე ჩვენი ქვეყნის საქმე სხვანაირად წავიდა. ბევრი კარგი აქვს გაკეთებული, მაგრამ ბევრი შეცდომაც დაუშვა. მე, პირადად, ყველაფერი ჩემს თავზე გამოვცადე. 2008 წლის შემდეგ (ღმერთმა არ ქნას, სამუდამოდ) დევნილად დავრჩი. ჩემს მიწა-წყალს ვეღარ ვნახავ, წინაპრების საფლავებზე ვერასოდეს მივალ. ეს არის ყველაზე ცუდი, რაც იმ პერიოდში იყო და შეიძლება, გაიხსენოს კაცმა.

– თქვენ ცხინვალის, თქვენი მიწა-წყლისა და წინაპრების საფლავების დაკარგვაზე საუბრობთ. სააკაშვილს რა ბრალდებას წაუყენებდით?

– მე იურიდიული განათლება არ მაქვს. ისტორიამ უნდა განსაჯოს ასეთი პიროვნებები: ქვეყნის პირველი პირები, პრეზიდენტები. 20-30 წლის შემდეგ ისტორია განსჯის, იმ მონაკვეთში, როდესაც სააკაშვილი იყო პრეზიდენტი, რა იყო უარყოფითი და რა – დადებითი.

ყველაფერში დამნაშავე რუსეთი რომ არის და ოკუპანტია, ცხადია. ამ გადასახედიდან ოსებსაც არ ვადანაშაულებ. ოსები თავიანთთვის იბრძოდნენ, რუსები გამოიყენეს და „დამოუკიდებლობა“ მიიღეს. როგორი დამოუკიდებლობაა, რა „დამოუკიდებელი ქვეყანაა“, სხვა საკითხია. სააკაშვილს უფრო მეტი ნაბიჯები უნდა გადაედგა მოლაპარაკებებისკენ.

შერეული საკონტროლო კომისია 2005-2006 წლამდე ძალიან კარგად მუშაობდა, მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოსებსა და ქართველებს შორის. რუსებიც ესწრებოდნენ. ფაქტობრივად, ოთხმხრივი შეხვედრები იმართებოდა. იქ ბევრი რაღაც წყდებოდა. ორმხრივი პროექტები კეთდებოდა. ათობით მილიონი დოლარი გამოიყოფოდა და ძირითადად კონფლიქტის ზონაში ხორციელდებოდა.

ფაქტობრივად, 2004 წლამდე უკვე ქართველებსა და ოსებს არავითარი პრობლემა არ ჰქონდათ, მით უმეტეს, იქ ერგნეთის ბაზარი იყო. კონტრაბანდის აღკვეთა ბაზრობის დაშლის გარეშე შეიძლებოდა. ცხინვალში შემოვლითი გზების გარეშე შევდიოდით. სააკაშვილმა კომპლექსური შეცდომები დაუშვა, შეიძლება, რუსმაც მოატყუა, ამ კონფლიქტში ჩვენ არ ჩავერევით და ტერიტორიული მთლიანობა აღადგინეო.

ზუსტად ვერ გეტყვი, მაგრამ დიდი შეცდომები რომ იყო, ამას თვითონაც არ უარყოფენ. სააკაშვილის მომხრეებიც ამბობენ, დიდი შეცდომები იყოო. 2004 წელსაც და 2008 წელსაც შეცდომა დაუშვეს.

– 2004-ში შეცდომა რა იყო?

– 2004 წელს აჭარის ამბავი რომ გადაწყდა (მე ცხინვალში ვცხოვრობდი, იქ მეგობრები მყავს და ვიცი, რომ ოსებიც ეგუებოდნენ იმას, რომ შეიძლებოდა რუსს, როგორც აჭარაში, მხარი დაეჭირა ცენტრალური ხელისუფლებისთვის – ივანოვი ჩამოვიდა და ასლანი წაიყვანა), ფიქრობდნენ, რომ მათ შემთხვევაშიც ასევე დაეჭირათ მხარი და მათთან დაკავშირებითაც იგივე გაეკეთებინა. ალბათ, ჩვენც დაგვიყოლიებსო და უნდოდათ, რაც შეიძლება დიდი სტატუსი მიეღოთ. მათ უნდოდათ, ისეთივე სტატუსი ჰქონოდათ, როგორიც აფხაზეთსა და აჭარას ჰქონდათ.

სტატუსის თაობაზე ერთ ამბავს გეტყვით. ზუსტად ვიცი, სანამ კოკოევი მოვიდოდა, მათ ჰყავდათ ჩიბიროვი. ცხინვალელი კაცი იყო, განათლებული, პროფესორი, შესანიშნავად იცოდა ქართული. 2001 წელს შევარდნაძე ჯავაში ჩავიდა. ჯავა ცხინვალიდან 30 კილომეტრშია, საკურორტო ზონაა. როკის გზაზეა, შუა ნაწილში.

ოსებმა შევარდნაძეს კარგი შეხვედრა მოუწყვეს, კავკასიური. შევარდნაძე არ სვამდა, მაგრამ ყველაფერი წესისამებრ იყო. 2002 წელს ლიკანში შეხვდნენ. ჩიბიროვი გახლდათ ჩამოსული. ზუსტად ვიცი (მაშინ დეპუტატი ვიყავი და დიდი ინფორმაცია მაქვს), შევარდნაძესა და ჩიბიროვს შორის პირისპირ შეხვედრაზე ჩიბიროვმა შევარდნაძეს უთხრა, ბატონო ედუარდ, ჩვენ ბევრი ხალხი დაგვეხოცა, ახალგაზრდები. ვიცი, ხალხი თქვენც დაგეხოცათ, მაგრამ ახლა მე ჩემს ხალხს ვერ ვეტყვი, ოლქის სტატუსს დავთანხმდით, ჩვენმა ბრძოლამ ტყუილად ჩაიარა, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მოგვეცით, როგორც აფხაზეთს ჰქონდა და აჭარას აქვს. ვეტყვი, რომ რესპუბლიკის სტატუსს მივაღწიეთ ჩვენი ომითო.

იმ პერიოდში ქართველებსა და ოსებს შორის შერიგების პროცესი მიდიოდა, მისვლა-მოსვლა და ქორწილები იყო. შევარდნაძე თბილისში რომ ჩამოვიდა და ეს საკითხი დააყენა, წამოუხტნენ, გამსახურდიამ გაუუქმა, შენ რესპუბლიკას აძლევო. ამით მოკვდა ეს ამბავი და აგერ, როგორც დამთავრდა, ყველამ კარგად ვიცით.

– შემდეგ ურთიერთობები ხომ მაინც გაგრძელდა 2004 წლამდე?

– ურთიერთობები გაგრძელდა, მაგრამ მაშინ ჩვენებმა დიდი შეცდომა დაუშვეს. 2004 წელს ცხინვალში თავიანთი არჩევნები ჩაატარეს. ჩიბიროვი სთხოვდა ჩვენებს, ფინანსურად დამეხმარეთ, რომ ისევ გავიმარჯვოო. 60-65 წლის კაცი იყო, უმაღლესი სასწავლებელი თბილისში ჰქონდა დამთავრებული და ბრწყინვალედ იცოდა ქართული. არ დაეხმარნენ და კოკოითმა გაიმარჯვა. ეს დიდი შეცდომა იყო.

– ხელმძღვანელობის.

– დიახ, ხელმძღვანელობის, თორემ თბილისელ, გორელ და საჩხერელ მოქალაქეებს რა ეკითხებათ. ეს იყო ხელისუფლების დიდი დანაშაული, რომ მაშინ ჩიბიროვს მხარი არ დაუჭირეს.

– ჩიბიროვი ღიად ეუბნებოდა, ფინანსურად დამეხმარეთ, რომ გავიმარჯვოო?

– დიახ. მაშინ ირაკლი მაჭავარიანი იყო სამმხრივი საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე. რამდენიმეჯერ დავესწარი ქართულ-ოსურ შეხვედრებს და მოლაპარაკებები ბრწყინვალედ მიჰყავდა. მათ ხმას არ ამოაღებინებდა, ყველაფერს უმტკიცებდა საჩვენოდ, ანუ სიმართლეს ამბობდა. სიმართლე საჩვენოდ იყო.

ცხინვალში სამშვიდობოების შტაბი რომ იყო, რუსებმა, ქართველებმა და ოსებმა პურმარილი გაშალეს, დიდი ქეიფი ჰქონდათ. ფაქტობრივად, მისული ვიყავით შერიგების დონემდე. უნდოდათ, ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი მიგვენიჭებინა და ოსები შეგუებული იყვნენ, რომ საქართველოსთან იქნებოდნენ.

– სააკაშვილი ცხინვალის ომის საკითხზე ხომ უნდა დაიკითხოს, რომ ვიცოდეთ მაინც, რა როგორ მოხდა?

– უნდა დაიკითხონ მთავარსარდალი, შტაბის უფროსი და სხვები, ვინ დაგეგმა ეს ოპერაცია, რატომ შევიდნენ ცხინვალში? ქალაქში არავინ იყო, ქალი, ბავშვი და მოხუცი – ყველა 2-3 კვირით ადრე გაიყვანეს.

– ამ დროს საერთაშორისო დოკუმენტებში წერია, მძინარე ქალაქს დაესხნენ თავსო.

– არავითარი მძინარე ქალაქი არ ყოფილა. ქალაქში არავინ იყო, ყაჩაღების გარდა. ამის თაობაზე კადრებიც არსებობს, რუსული ტელევიზია გადმოსცემდა.

– რეალობის საწინააღმდეგო საერთაშორისო ორგანიზაციების დოკუმენტებიც შექმნეს. ამაზე ვინმემ პასუხი ხომ უნდა გასცეს?

– დიახ, პასუხი უნდა გასცეს. ჩემზე კარგად არავინ იცის, რა ხდებოდა რეგიონში. ხეობიდან ერთი დღითაც კი არ გამოვსულვარ. 1990 წლიდან 2008 წლამდე სულ იქ ვიყავი. ოსებთანაც მქონდა ურთიერთობა და აქეთაც რა ხდებოდა, ვიცი, მაგრამ დღემდე არავის დავუკითხივარ. არ უკითხავთ, 2008 წლის 1-8 აგვისტომდე რა იყო, რა ხდებოდა მანამდე. ჩემზე ზუსტი ინფორმაცია არავის აქვს. ყველაფერს ხომ არ გეტყვით, ბევრი ისეთი რაღაც ვიცი, რის თქმაც არ შეიძლება. მე კაცი შვილს არ დავუკითხივარ.

პური მეპურემ უნდა გამოაცხოს. ჩვენ რომ პურის მცხობელები არ გვყავს, იმიტომ დავკარგეთ სამაჩაბლო და ცხინვალის რეგიონი. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას, ვინ რა და როგორ გააკეთა, როგორ მოქმედებდნენ, როგორ მიატოვეს ხეობა. ერთი ავტობუსიც კი არ შეიყვანეს, რომ იქიდან მოსახლეობა გამოეყვანათ.

ჩემს თავში მე რეალური დასკვნა გაკეთებული მაქვს: ეს იყო დიდი ავანტიურა თუ შეცდომა და დავკარგეთ ცხინვალის რეგიონი და სამაჩაბლო, მაგრამ ვის რა წვლილი მიუძღვის ამ ტერიტორიების დაკარგვაში, ქართველმა ხალხმა ხომ უნდა იცოდეს. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ხვალ და ზეგ ასეთ ქმედებებს ვინც ჩაიდენს, დაისჯება.

ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტი მოსკოვშია

რატომ ჩაიშალა მისი ვიზიტი რუსეთში რამდენიმე დღის წინ?

მარიამ მჭედლიშვილი

ოკუპირებული აფხაზეთის ფაქტობრივი პრეზიდენტი ასლან ბჟანია მოსკოვში იმყოფება. ეს მისი მეცხრე სამუშაო ვიზიტია რუსეთის ფედერაციაში. იგი შეხვედრებს მართავს პრეზიდენტის ადმინისტრაციასა და მთავრობაში. განსახილველი საკითხი ბევრია – მიმდინარე საინვესტიციო პროექტები, აფხაზეთის ენერგოსექტორის რეფორმირება, სოხუმის აეროპორტის რეაბილიტაცია-მოდერნიზება, აფხაზეთის ეკონომიკური და სოციალური სფეროს ჰარმონიზაცია რუსეთის კანონმდებლობასთან. თითქმის ყველა ეს საკითხი უკავშირდება რუსეთის მხრიდან აფხაზეთის ანექსიისკენ გადადგმულ ნაბიჯებს. ბოლო დროს ნიადაგი ესინჯება იმასაც, რომ დაიწყოს მსჯელობა აფხაზეთის შესვლაზე რუსეთ-ბელარუსის კავშირში. დაელაპარაკებიან თუ არა ბჟანიას ამ თემაზეც, უცნობია.

ასლან ბჟანიას ვიზიტი მოსკოვში რამდენიმე დღის წინ უნდა დაწყებულიყო. ბჟანია რუსეთში უკვე ჩასულიც იყო, მაგრამ ვიზიტის შეწყვეტა და აფხაზეთში დაბრუნება მოუხდა. ამის მიზეზი გახდა მძიმე ინციდენტი ოჩამჩირეში. მასში მონაწილეობდნენ, ერთი მხრივ, აფხაზეთის ომის ვეტერანები და დეპუტატი, მეორე მხრივ, აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები. დეტალები არ ხმაურდება. ბევრი ნიშნის მიხედვით, მოხდა ძალოვნების მხრიდან უფლებამოსილების გადამეტება.

ინციდენტს აფხაზეთის პროკურატურა იკვლევს. სოხუმში დაბრუნებულ ასლან ბჟანიას მოუხდა ამ საკითხზე გამართულ თათბირში მონაწილეობა, ასევე შეხვედრა ოჩამჩირის რაიონის სოფელ აბზიუუბას მოსახლეობის დელეგაციასთან. საქმის გარკვევამდე გადადგა შს მინისტრი დბარი. მოსახლეობას, რომელიც სოხუმში შეიკრიბა, არ აკმაყოფილებს მინისტრის დროებით გადადგომა. ხალხმა მოითხოვა შს მინისტრისა და მისი მოადგილეების გაშვება სამსახურიდან, ზოგმა – დაკავება. ადამიანებმა ისიც აღნიშნეს, რომ ინციდენტის გამოყენებას პოლიტიკური ძალები ცდილობენ.

– მილიცია უნდა აღვზარდოთ, ჩამოვაყალიბოთ. ახლახან გაგრაში რაიონის სისხლის სამართლის სამძებროს უფროსი გალახეს. თუ არ გვეყოლება მილიცია და პროკურატურა, არ გვექნება სახელმწიფო, – განაცხადა შეხვედრაზე ფაქტობრივმა პრეზიდენტმა.

შემთხვევის გამო საგანგებოდ შეიკრიბნენ აფხაზეთის პარლამენტის წევრებიც. გადაწყდა, რომ დეპუტატები იმუშავებენ იმ გვარების წარმომადგენლებთან, რომლებიც ჩათრეული აღმოჩნდნენ კონფლიქტში. ეს საჭიროა იმისთვის, რომ არ გაღრმავდეს დაძაბულობა.

გაღრმავდება თუ არა დაძაბულობა მომხდარის ნიადაგზე, პროკურატურის მიერ გამოტანილი დასკვნების შემდეგ გამოჩნდება.

ფაქტია, რომ აფხაზეთში წესრიგის დამყარება ისევ ვერ ხერხდება, ხალხი კი უნდობლობას უცხადებს შს სამინისტროსა და პროკურატურას.

ეს ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც აქარწყლებს აფხაზეთის ე.წ. დამოუკიდებლობის ილუზიას.

აფხაზეთის ადმინისტრაცია ვერ მალავს იმას, რომ აფხაზეთს მსოფლიოში არ აღიარებენ, აფხაზეთში არ შედის ინვესტიციები, მილიცია ვერ ამყარებს წესრიგს, ვერ ხდება გადასახადების ამოღება.

იმავდროულად, აფხაზეთი გადაქცეულია პოლიგონად. ამ დღეებში აფხაზეთში განლაგებულ რუსეთის სამხედრო ბაზაზე ქვედანაყოფები ამუშავებენ პირობითი უპილოტო მოწინააღმდეგეების დამარცხების გეგმას.



წვრთნები, სხვა ადგილების გარდა, გაიმართება აფხაზეთში, ცხინვალის რეგიონსა და სომხეთში.

რუსეთის სამხრეთი სამხედრო ოლქის მტკიცებით, შემოწმება მიმდინარეობს ნატოს წევრი, ასევე პარტნიორი (საქართველო და უკრაინა) ქვეყნების აქტივიზაციისა და საზღვაო წვრთნების ფონზე. რუსეთის სამხედრო ოლქის სიტყვებით, ნატოს წვრთნებში მონაწილეობენ ამერიკული ძალებიც. ისინი გადმოსროლილი არიან შავიზღვისპირა ქვეყნებში რუსეთის საზღვრებთან.

ზვიად თავდგირიძე ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს

ბათუმში შენობის ნაწილის ჩამონგრევის შედეგად გადარჩენილი მამაკაცის, 37 წლის ზვიად თავდგირიძის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმე, მაგრამ სტაბილურია. მამაკაცი ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნეს.

როგორც კლინიკა „მედცენტრის“ დირექტორმა მედეა ქაჯაიამ განაცხადა, პაციენტი 1 დღე რეანიმაციულ განყოფილებაში დარჩება, რადგან მას ექიმების ინტენსიური მეთვალყურეობა სჭირდება.

– პაციენტის მდგომარეობა მძიმე რჩება, მაგრამ სტაბილურია. დადებითი გვაქვს ის, რომ პაციენტი მოიხსნა ხელოვნური ვენტილაციიდან, თავისით სუნთქავს, შემოდის კონტაქტში, ასრულებს დავალებებს, პაციენტი დღეს მაინც დარჩება რეანიმაციულ განყოფილებაში იმიტომ, რომ დარღვევები, რომლებიც შემოსვლის დროს ჰქონდა, ყველა კორეგირებული ჯერჯერობით არ არის. პაციენტს ინტენსიური მეთვალყურეობა სჭირდება, ყოველ საათში ხდება იმ სასიცოცხლო ფუნქციების მონიტორინგი, რომლებიც შემოსვლის დროს დარღვეული იყო, – განაცხადა მედეა ქაჯაიამ.

– დღეისთვის ჩემი შვილიშვილის მდგომარეობა უკეთესია – ყოველდღიურად უმჯობესდება, – განაცხადა ზვიად თავდგირიძის ბაბუამ, ქირურგმა აკაკი ბერიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას.

შვილიშვილის გადარჩენისთვის ის მადლობას უხდის კოლეგებს.

– მოვინახულე, ერთად გავაკეთეთ შეხვევა, ექსტუბაციასაც (ხელოვნური სუნთქვის აპარატიდან მოხსნა) ვესწრებოდი. ძალიან კმაყოფილი ვარ ყველაფრით. ჯანდაცვის სისტემის, ჩემი კოლეგების, ბათუმისა და თბილისის ექიმების მიერ გადარჩა, თორემ 11 საათი ვერტიკალურ მდგომარეობაში გაძლება რთულია. ასეთი ადამიანის გადარჩენა ნამდვილად სასწაულია, – აღნიშნა აკაკი ბერიძემ.

ნიკო კვარაცხელიას ოჯახმა ბათუმში დაზარალებულთა შვილებს სტიპენდიები დაუნიშნა

ბათუმში მომხდარი ტრაგედიის დროს დაზარალებულთა შვილებს ნიკო კვარაცხელიას ოჯახმა ნიკოს სტიპენდიები დაუნიშნა.

ამის შესახებ ოჯახის განცხადებაშია ნათქვამი:

„მოზიარე ვართ თქვენი დიდი მწუხარების.

ყველაზე კარგად ჩვენს ოჯახს ესმის, რას გრძნობთ ახლა, რა ტკივილი გაქვთ და როგორ დათმობდით ყველაფერს, რომ თქვენი ცოლი და შვილები გადაგერჩინათ. დარწმუნებული ვართ, თქვენ, ისევე, როგორც ჩვენ, დიდ იმედებს ამყარებდით თქვენს შვილებზე, ოცნებობდით, რომ ისინი მაინც იცხოვრებდნენ განსხვავებულ საქართველოში და საკუთარ თავზე არ გამოცდიდნენ იმ ცხოვრებისეულ სიმძიმეებს, რაც ჩვენმა თაობამ გამოცადა. ვერაფრით განუგეშებთ, რადგან ეს ტკივილი არის განუკურნებელი.

ერთადერთი, რითაც ჩვენს ოჯახს შეუძლია გამოხატოს თქვენდამი თანადგომა – „ნიკოს სტიპენდიაა“. ჩვენი გადაწყვეტილებით, თქვენი შვილები ყოველთვიურად მიიღებენ „ნიკოს სტიპენდიას“, რომლითაც, იმედი გვაქვს, შეძლებისდაგვარად უზრუნველვყოფთ მათთვის უკეთესი განათლების მიცემის შესაძლებლობას. გვჯერა, რომ მხოლოდ განათლებულ, პასუხისმგებლობის მქონე პროფესიონალ ადამიანებს შეუძლიათ იმ უკეთესი საქართველოს მშენებლობა, რომელშიც ასე გვინდოდა, რომ ჩვენს შვილებს ეცხოვრათ“.

„აკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ მაღაზიაში გამოიცვალეს სისხლიანი ტანსაცმელი. ამოღებულია პასპორტები, დანები“

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობასთან დაკავშირებით 8 ოქტომბერს შსს-ში ბრიფინგი გაიმართა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ჩატარებული ინტენსიური ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 2021 წლის 15 სექტემბერს, თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე მომხდარ განზრახ მკვლელობაში ბრალდებული, ძებნილი პირები დააკავეს.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა დაგეგმეს ნ.კ.-ის განზრახ მკვლელობა, რისთვისაც მათ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა და ერთ-ერთი მოქალაქისგან იქირავეს ავტომობილი. მიმდინარე წლის 15 სექტემბერს, აღნიშნული პირები ნაქირავები ავტომანქანით თბილისში, ვერიკო ანჯაფარიძის ქუჩაზე, საცხოვრებელ კორპუსთან ჩაუსაფრდნენ ნ.კ.-ს და განზრახვის აღსრულების მიზნით, ა.ჭ.-მ ცეცხლსასროლი იარაღიდან ნ.კ.-ის მიმართულებით 10-ზე მეტი გასროლა განახორციელა და შემთხვევის ადგილიდან, გ.კ.-სთან ერთად, ნაქირავები ავტომანქანით მიიმალა.

მიყენებული ჭრილობების შედეგად, დაჭრილი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

შეტყობინების მიღებისთანავე ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფმა, ექსპერტ-კრიმინალისტებთან ერთად, დეტალურად დაათვალიერა შემთხვევის ადგილი, აიღეს სხვადასხვა კვალი, ასევე, სამართალდამცველებმა ნივთმტკიცებად ამოიღეს ცეცხლსასროლი იარაღის მასრები და სხვადასხვა ნივთი.

საქმეზე დაიკითხა ათეულობით მოწმე, მათ შორის დანაშაულის უშუალო თვითმხილველები, გარდაცვლილის მეგობრები, ნაცნობები და საქმესთან შემხებლობაში მყოფი სხვა პირები.

ჩვენებებისა და საქმის დეტალების ანალიზის საფუძველზე, დანაშაულის ჩამდენი პირების ვინაობისა და დანაშაულის მოტივის დასადგენად დაისახა რამდენიმე საგამოძიებო ვერსია, რომელთა გადასამოწმებლად ინტენსიურ რეჟიმში განხორციელდა ყველა საჭირო ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიება.

ოპერატიულმა ჯგუფმა უმოკლეს დროში მიაკვლია იმ ავტომანქანას, რომლითაც ბრალდებულები დანაშაულის ჩადენის დროს გადაადგილდებოდნენ. აღნიშნული ავტომობილი დათვალიერდა ექსპერტ-კრიმინალისტების მიერ და ამოღებულ იქნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე კვალები.

დადგინდა ავტომანქანის მფლობელიც და მისი ჩვენების საფუძველზე დანაშაულის ერთ-ერთი მონაწილის – გ.კ.-ის ვინაობა.

ოპერატიულ-საგამოძიებო ჯგუფის მიერ ინტენსიურ რეჟიმში განხორციელებული თანმიმდევრული და კვალიფიციური მუშაობის შედეგად დადგენილ იქნა დანაშაულის ჩამდენი – უშუალოდ მსროლელი პირის – ა.ჭ.-ის ვინაობაც.

სამართალდამცველები უწყვეტ რეჟიმში განაგრძობდნენ მუშაობას ყველა იმ მტკიცებულების მოპოვების მიზნით, რომლებიც უტყუარად დაადასტურებდნენ ბრალდებულების მიერ აღნიშნული დანაშაულის ჩადენას.

გამოძიებამ მოიპოვა ბრალდებულთა გადაადგილების ამსახველი ვიდეოსამეთვალყურეო კამერების რამდენიმე ათეული ჩანაწერი და მოხდა მათი დეტალური დათვალიერება.

გაიჩხრიკა ათამდე საცხოვრებელი ბინა და სხვადასხვა ობიექტი, მათ შორის გ.კ.-ის მაღაზია, სადაც ბრალდებულებმა დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოიცვალეს სისხლიანი ტანსაცმელი, რაც ნივთმტკიცების სახით იქნა ამოღებული.

საქმეზე ამოღებულ ნივთმტკიცებებზე ჩატარდა დაქტილოსკოპიური, ოდოროლოგიური, ბალისტიკური, ქიმიური, ბიოლოგიური, ტრასოლოგიური და საინფორმაციო-ტექნოლოგიური ექსპერტიზები, რომელთა დასკვნების შედეგად დადგინდა, რომ გ.კ.-ის მაღაზიიდან ამოღებულ ა.ჭ.-ის ტანსაცმელზე აღმოჩნდა დენთის კვალი, ხოლო მასზე არსებული სისხლის ლაქები ეკუთვნის გარდაცვლილ ნ.კ.-ს.

საქმეზე შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე, მიმდინარე წლის 18 სექტემბერს, ორივე პირს საქართველოს პროკურატურამ ბრალი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 109-ე და 236-ე მუხლებით დაუსწრებლად წარუდგინა და მათზე ძებნა გამოცხადდა.

ძებნილ ბრალდებულთა დასაკავებლად ორიენტირებულ იქნა ყველა ოპერატიული დანაყოფი.

სამართალდამცველებმა, ძებნაში მყოფი ბრალდებულების ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით, უწყვეტ რეჟიმში გააგრძელეს მუშაობა. ჩატარდა არაერთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, დაიკითხა ათეულობით მოწმე, დადგინდა იმ პირების ვინაობა, ვისთანაც შესაძლოა, კავშირი ჰქონოდათ ბრალდებულებს, ასევე, დადგინდა ყველა ის ადგილი, სადაც ბრალდებულები დროებით თავს აფარებდნენ, გამოვლენილი იქნა ყველა ავტომობილი და მათი მძღოლების ვინაობა, რომლითაც ბრალდებულები გადაადგილდებოდნენ.

ბრალდებულები, სამართალდამცველებისთვის კვალის არევის მიზნით, პერიოდულად იცვლიდნენ ტანსაცმელს, ავტომანქანებს და თავშესაფარ ადგილებს, რაც ართულებდა მათი ადგილმდებარეობის დროულად დადგენას და დაკავებას.

2021 წლის 7 ოქტომბერს სამართალდამცველებმა, ჩატარებული კომპლექსური საგამოძიებო-ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებების შედეგად, ორივე ძებნილი პირი წყნეთში დააკავეს.

პოლიციის მიერ დადგენილ იქნა ის საცხოვრებელი სახლი, რომელსაც ბრალდებულები ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში თავს აფარებდნენ.

ორივე ბრალდებულმა დაკავებისას მიმალვა ცადა, თუმცა აქტიური დევნის შედეგად მოხდა მათი დაკავება.

ბრალდებულთა პირადი ჩხრეკისას ამოღებულ იქნა დანები, ხოლო მათ ხელბარგში ნანახი იქნა მათი კუთვნილი საქართველოს მოქალაქის პასპორტები, ტანსაცმელი და სხვა პირადი ნივთები.

საქმეზე გრძელდება შესაბამისი საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები და შესაძლებელია, გაფართოვდეს ბრალდებულთა წრე.

დანაშაული 13-დან 17 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს“.

გიორგი კავილაძისა და აკო ჭელიძისთვის შეფარდებული აღკვეთის ღონისძიება ძალაში დარჩა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გიორგი გელაშვილმა 9 ოქტომბერს გამოაცხადა.

სხდომას ესწრებოდნენ თავად ბრალდებულებიც, მათ პროცესზე დუმილის უფლება გამოიყენეს და მომხდართან დაკავშირებით არ უსაუბრიათ.

სასამართლო სხდომაზე ბრალდების მხარე – აღკვეთის ღონისძიების ძალაში დატოვებას, დაცვის მხარე კი აღკვეთის ღონისძიების გარეშე დატოვებას ითხოვდა.

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობა თურქეთში დაიგეგმა

ნიკო კვარაცხელიას მკვლელობაში ბრალდებულები დანაშაულამდე ერთი თვით ადრე თურქეთში იმყოფებოდნენ. სწორედ იქ დაიგეგმა „კანონიერი ქურდის“ გია კვარაცხელიას ვაჟის მიმართ სისხლიანი ანგარიშსწორება. პერსპექტიული და წარმატებული ახალგაზრდის ლიკვიდაციის გეგმა თურქეთიდან დაბრუნებულმა აკო ჭელიძემ და გიორგი კავილაძემ სისრულეში 15 სექტემბერს მოიყვანეს.

იმას, რომ გიორგი კავილაძე მკვლელობამდე ცოტა ხნით ადრე თურქეთში გადავიდა, მისი მეგობარი ირაკლი კეთილაძეც ადასტურებს. „კურიერის“ მიერ მოპოვებულ ჩვენებაში კეთილაძე ყვება, რომ თურქეთიდან დაბრუნებული გიორგი კავილაძე ბოლოს მკვლელობამდე ერთი დღით ადრე, 14 სექტემბერს ნახა.

ჰქონდა თუ არა ირაკლი კეთილაძეს ინფორმაცია, რომ ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ მისი მეგობრები – აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე წყნეთში იმალებოდნენ, ამ კითხვით „კურიერი“ გუშინ ირაკლი კეთილაძის საცხოვრებელ მისამართზეც იმყოფებოდა, თუმცა ბოლო რამდენიმე დღეა, ის სახლში არ გამოჩენილა.

თავად ირაკლი კეთილაძის მიმართ ძიება სხვა საქმეზე მიმდინარეობს. „რუსთავი 2“-ის ინფორმაციით, ის უშუალოდ მონაწილეობდა აგვისტოში ერთ-ერთ ქუჩაზე პნევმატური იარაღიდან განხორციელებულ სროლაში. ჩხრეკისას მას ცეცხლსასროლი იარაღიც ამოუღეს.

ირაკლი კეთილაძესა და ძებნაში მყოფ გიორგი კავილაძეს, მეგობრობის გარდა, საერთო ბიზნესიც აკავშირებთ – სადგურის მოედანზე მდებარე ტანსაცმლის მაღაზია და საწყობი. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც ნიკო კვარაცხელიას მკვლელობის შემდეგ აკო ჭელიძე და გიორგი კავილაძე მივიდნენ, ტანსაცმელი გამოიცვალეს და მიიმალნენ.

სამართალდამცველებმა მაღაზიის საწყობიდან აკო ჭელიძისა და გიორგი კავილაძის კუთვნილი ტანსაცმელი ამოიღეს. „კურიერის“ მიერ მოპოვებულ ექსპერტიზის დასკვნაში ნათქვამია, რომ ტანსაცმელზე ნიკო კვარაცხელიას სისხლის კვალი ამოვიდა.

ნიკო კვარაცხელიას საქმეზე გამოძიება გრძელდება. გაიზრდება თუ არა ბრალდებულთა წრე და გავა თუ არა გამოძიება დამკვეთების კვალზე, ეს, სავარაუდოდ, საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე გაირკვევა.

პროკურატურამ კაბალში მომხდარ აფეთქებებზე 3 პირს ბრალი წარუდგინა

საქართველოს გენერალური პროკურატურის ინფორმაციით, უწყებამ ჯგუფურად ჩადენილი აფეთქებებისა და ასაფეთქებელი მოწყობილობების ჯგუფურად შეძენის, შენახვისა და ტარების ფაქტებზე ა.ნ.-ს, რ.ა.-სა და გ.მ-ს ბრალდება წარუდგინა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ა.ნ.-მ წარსულში არსებული ფინანსური დავის გამო, ფინანსური და მატერიალური სარგებლის მიღების და დაშინების მიზნით, ლაგოდეხის რაიონის სოფელ კაბალში მცხოვრები მ.ნ.-ს და ი.მ.-ს საცხოვრებელი სახლების ეზოებში აფეთქების მოწყობა გადაწყვიტა. ბრალდებული შეუთანხმდა რ.ა-ს და გ.მ.-ს, რომლებსაც ფულადი თანხის გადახდის სანაცვლოდ აფეთქება უნდა განეხორციელებინათ. 2021 წლის სექტემბერში ა.ნ.-მ ასაფეთქებელი მოწყობილობა გადასცა რ.ა.-ს, რომელსაც ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანის დროის და ადგილის შესახებ მიუთითა. 2021 წლის 19 სექტემბერს, ღამის საათებში, რ.ა.-მ სოფელ კაბალში მ.ნ.-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში განზრახ ააფეთქა ასაფეთქებელი მოწყობილობა, რითაც დაზიანდა მ.ნ.-ის ავტომობილები და საცხოვრებელი სახლი. მეორე აფეთქების განხორციელების მიზნით, 2021 წლის ოქტომბრის დასაწყისში, რ.ა.-მ და გ.მ.-მ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძინეს ასაფეთქებელი მოწყობილობა და ასევე ა.ნ.-ს დავალებით 2021 წლის 4 ოქტომბერს ი.მ.-ს საცხოვრებელი სახლის ეზოში ორი ცალი ასაფეთქებელი მოწყობილობა გადაადგეს, რის შედეგადაც ი.მ.-ს ავტომობილი და საცხოვრებელი სახლი დაზიანდა.

პროკურატურამ რ.ა.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით (ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება) სსკ-ის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება ჯგუფურად) და სსკ-ის 229-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) (აფეთქება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარუდგინა. გ.მ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-6 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა, ტარება ჯგუფურად) და სსკ-ის 229-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (აფეთქება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) წარედგინა. რაც შეეხება ა.ნ.-ს, რომელმაც საქართველოს ტერიტორია 2021 წლის 18 სექტემბერს დატოვა, ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა და შენახვა) და 25.229-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (ორი ეპიზოდი) (აფეთქება წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) დაუსწრებლად წარედგინა“, – ნათქვამია გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

სამართალდამცველებმა რ.ა. და გ.მ. 2021 წლის 8 და 9 ოქტომბერს დააკავეს.

ბრალდების მხარე ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით, გურჯაანის რაიონულ სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს.

ბათუმში ჩამონგრეული შენობის პირველი სართულის ბინის მესაკუთრე და 2 მუშა დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, საცხოვრებელი კორპუსის ნგრევის ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში 3 პირი: პირველი სართულზე მდებარე ბინის მესაკუთრე, 1975 წელს დაბადებული ზაურ ბუდატოვი, 1962 წელს დაბადებული ხ.ს. და 1992 წელს დაბადებული გ.ს. დააკავეს.

დანაშაულები 2-დან 10 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი კორპუსის პირველი სართულზე ერთ-ერთი ბინის მფლობელმა ზაურ ბუდატოვმა ბინაში სარემონტო სამუშაოებისთვის ხ.ს. და გ.ს. დაიქირავა. ბინის მესაკუთრის მითითებითა და უსაფრთხოების წესების უხეში დარღვევით საცხოვრებელ ბინაში სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები განხორციელდა, რამაც მიმდინარე წლის 8 ოქტომბერს საცხოვრებელი კორპუსის ერთი სადარბაზოს ჩამონგრევა გამოიწვია.

სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესის დარღვევის და სხვისი ნივთის დაზიანების ან განადგურების ფაქტებზე, რომელსაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და მძიმე შედეგი მოჰყვა. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 187-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.

ნანგრევებიდან ამ ეტაპზე მეხანძრე-მაშველების მიერ ამოყვანილია ორი მოქალაქე, რომლებიც გადაყვანილი არიან საავადმყოფოში, ასევე ნანგრევებში ნანახი იქნა ხუთი ცხედარი. ინტენსიურ რეჟიმში გრძელდება, როგორც საძიებო-სამაშველო ღონისძიებები, ასევე საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები.

შენობა ბათუმში 8 ოქტომბერს, დღის პირველ ნახევარში ჩამოინგრა. ტრაგედიის შედეგად დაიღუპა შენობაში მყოფი 9 ადამიანი.

1 ადამიანი გადარჩა. მას ექიმები სათანადო მკურნალობას უტარებენ.

ბათუმში საძიებო-სამაშველო ღონისძიებები დასრულდა. ადგილზე რჩებიან პოლიციის თანამშრომლები და გრძელდება საგამოძიებო მოქმედებები

შინაგან საქმეთა სამინისტროს მხრიდან ბათუმში, საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის ადგილზე მიმდინარე სამძებრო და სამაშველო ღონისძიებები დასრულდა.

საძიებო-სამაშველო ოპერაციის დასრულებისა და მისი შედეგების შესახებ შემთხვევის ადგილზე შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა მედიასაშუალებების წარმომადგენლებთან ვრცლად ისაუბრა.

მინისტრის განცხადებით, ბათუმში საცხოვრებელი კორპუსის ჩამონგრევის ადგილზე პოლიციის შესაბამისი ძალები რჩებიან, რომლებიც ადგილზე უსაფრთხოების ნორმებს გააკონტროლებენ.

„პირველ რიგში მინდა მივუსამძიმრო გარდაცვლილთა ოჯახებს. ძალიან მძიმე სიტუაციაა. 9 ადამიანია გარდაცვლილი და ყველას ვუსამძიმრებ. უმძიმესი დღე იყო გუშინ, დღესაც, რა თქმა უნდა. ახლა ვიპოვეთ, 5 წუთის წინ მეცხრე გარდაცვლილი, ვისაც ვეძებდით.

ჩვენი ვარაუდით, არც ერთი დაკარგული აღარ არის და სამძებრო სამუშაოები შეჩერდება. გარდაცვლილებს შორის სამი არასრულწლოვანია, ხოლო დანარჩენები – სრულწლოვნები. დაკავებულია 3 ადამიანი, როგორც გითხარით და გრძელდება გამოძიება.

პოლიციელები დარჩებიან შემთხვევის ადგილზე. სავარაუდოდ, ეს ქუჩა გადაიკეტება, რომ არ იმოძრაოს ხალხმა, უკანა ეზოშიც მოხდება გაკეთება ბარიერების, რომ არ შევიდეს ხალხი იმ ზონაში, რომელმაც შესაძლოა საფრთხე გამოიწვიოს“, – განაცხადა ვახტანგ გომელაურმა.

ბათუმში, 26 მაისის ქუჩაზე, საცხოვრებელი ბინის ჩამონგრევის ადგილას საძიებო-სამაშველო ღონისძიებაში შინაგან საქმეთა სამინისტროს 400-მდე მეხანძრე-მაშველი და პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის წარმომადგენლები 29 საათის განმავლობაში უწყვეტ რეჟიმში მუშაობდნენ.

უკრაინის პარლამენტს ახალი სპიკერი ჰყავს

როზუმკოვი სტეფანჩუკმა შეცვალა

უკრაინის პარლამენტის სპიკერი როზუმკოვი გადააყენეს. ამ დადგენილებას მხარი დაუჭირა დეპუტატების აბსოლუტურმა უმრავლესობამ.

ახალ სპიკერად აირჩიეს რუსლან სტეფანჩუკი, რომელიც ზელენკისადმი ერთგულებითაა განთქმული.

რუსლან სტეფანჩუკი 1975 წელს ტერნოპოლში დაიბადა. მთელი ცხოვრება ქალაქ ხმელნიცკში გაატარა. იქ დაამთავრა უნივერსიტეტი, ეწეოდა სამეცნიერო მოღვაწეობას, იყო დეპუტატ ანატოლი მატვიენკოს თანაშემწე. სტეფანჩუკის დიდ პოლიტიკაში მოსვლის პირველი მცდელობა მარცხით დამთავრდა. მან საპარლამენტო არჩევნები წააგო და დეპუტატიც მხოლოდ ვლადიმერ ზელენსკის წყალობით გახდა. მან სტეფანჩუკი პარტია „ხალხის მსახურის“ სიაში შეიყვანა.

საპარლამენტო არჩევნების შემდეგ სტეფანჩუკმა ვიცესპიკერის პოსტი დაიკავა, როზუმკოვის გადაყენების შემდეგ კი, ასევე ზელენსკის მხარდაჭერით, სპიკერი გახდა. ამრიგად, პარლამენტს სათავეში პრეზიდენტის ერთგული კადრი ჩაუდგა.

ავსტრიის კანცლერი კურცი გადადგა

ავსტრიის კანცლერი თანამდებობიდან გადადგა. სებასტიან კურცმა მთავრობის მეთაურობა ევროპისა და საგარეო საქმეთა მინისტრ ალექსანდრე შელენბერგს შესთავაზა.

ავსტრიის კანცლერის გადადგომა ოპოზიციურმა პარტიებმა მას შემდეგ მოითხოვეს, რაც სებასტიან კურცზე ავსტრიის პროკურატურამ გამოძიება დაიწყო.

მას ბრალად ქრთამის აღება და კორუფცია ედება.

სებასტიან კურცმა 2016-2018 წლებში ქვეყნის საბიუჯეტო სახსრები ავსტრიულ გაზეთში რეკლამების დასაფინანსებლად გამოიყენა, რაც კურცის პარტიისთვის მომგებიანი გამოკითხვის განთავსებას ისახავდა მიზნად.

სებასტიან კურცი პარტიის ლიდერად რჩება და ის პარლამენტში მუშაობას გააგრძელებს.

მის წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს კურცი უარყოფს.

თურქეთში რუსი ჯაშუში დააკავეს

თურქეთის პოლიციამ ჯაშუშობაში ეჭვმიტანილი ექვსი უცხოელი დააკავა. აქედან ერთს რუსული პასპორტი აღმოაჩნდა.

ის, როგორც ჩანს, რუსეთის აგენტი იყო.

ამ ფაქტის გამო აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. მიმდინარეობს გამოძიება.

ჩეხეთის პარლამენტში კომუნისტები ვერ მოხვდნენ

ჩეხეთში საპარლამენტო არჩევნები დასრულდა.

პირველ ადგილზე მემარჯვენე-ცენტრისტული კოალიციაა, მეორეზე – პრემიერ ბაბიშის პარტია, მესამეზე – მემარცხენე-ცენტრისტული კოალიცია.

ჩეხეთის ისტორიაში პირველად პარლამენტში ვერ მოხვდნენ კომუნისტები.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

დუდუ დადიანის თასის ფინალში ქუთაისი და ტიტები ითამაშებენ

დუდუ დადიანის გასული სეზონის ფინალისტი ქუთაისი წლეულსაც ფინალშია. კოტე ტუღუშის გაწვრთნილმა იმერულმა კლუბმა ოლიმპი 69:63 დაამარცხა და ტიტულს დაიცავს.

ქუთაისმა კლასისა და დაბალანსებული შემადგენლობის ხარჯზე გაიმარჯვა. იმერულ კლუბს ყველა პოზიციაზე 2-2 კარგი კალათბურთელი ჰყავს და მწვრთნელიც საჭიროების დროს თამამად ცვლიდა. პირველი პერიოდი ქუთაისელებმა 5 ქულით მოიგეს, მეორე – ამდენითვე წააგეს და დიდ შესვენებაზე ანგარიში თანაბარი იყო. მესამე ათწუთეულიდან თანაბარი ბრძოლა გაჩაღდა, მაგრამ, ერთი მხრივ, კარგი დაცვისა და, მეორე მხრივ, ოლიმპელთა შეცდომების ხარჯზე იმერლებმა ხელჩასაჭიდი ლიდერობა მოიპოვეს. ამგვარ თანაბარ თამაშში 5-7-ქულიანი ლიდერობა საკმაოდ დიდი ჰანდიკაპი იყო, რომელიც ქუთაისელებმა ხელიდან არ გაუშვეს და თამაში ისე ჩაამთავრეს, მოედანზე ვითარება არ დაძაბულა.

13 ქულით ქუთაისელთაგან ბომბარდირი ლუკ მოიერი გახდა. 11 ქულა, 7 მოხსნა და 4 პასი ადრიან ბოუის ანგარიშზეა, 10-10 ქულა აკაკი დვალიშვილმა და ოთო ფხაკაძემ მიითვალეს. გიორგი კორსანტიამ იმერულ კლუბს 9 ქულა და 16 მოხსნა შესძინა. ოლიმპელთაგან 19 ქულით ბომბარდირი კახა ჯინჭარაძე გახდა, საუკეთესო შედეგიანობა კი ლუკა კალატოზიშვილმა გამოავლინა – 9 ქულა, 13 მოხსნა, 3 დაფარება.

ფინალში გასულ ქუთაისს ტიტები შეუერთდა. ბესო ლეჟავას გაწვრთნილმა გუნდმა ნახევარფინალურ მატჩში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაამარცხა. ტიტების კალათბურთელებმა დიდებული მესამე პერიოდი ჩაატარეს,

რის შემდეგაც შეხვედრას მოხდენილი წერტილი დაუსვეს – 74:67.

ტიტები თსუ-თან თავდაპირველად ფავორიტად არ მიიჩნეოდა, თუმცა, მას შემდეგ, რაც უნივერსიტეტელთა კაპიტნისა და ლიდერის გიორგი ცინცაძის ტრავმის სიმძიმის შესახებ გახდა ცნობილი, ლეჟავას გაწვრთნილ გუნდს იმედი მიეცა. თავის მხრივ, ტიტებსაც აკლდა ერთ-ერთი ლიდერი, ლევან ბაბილოძე, მაგრამ გამარჯვება მაინც მოიპოვა.

ცინცაძის არყოფნაში თსუ-ში გამთამაშებლობა ლოველ ქაბილმა ითავა, რომელსაც მეორე ლეგიონერი დარილ ოუენსი ეხმარებოდა და უნივერსიტეტელებს თავიდან საქმე ჩინებულად მისდიოდათ. პირველი პერიოდი თსუ-მ 23:18 მოიგო, ხოლო მეორეში ლიდერობა კიდევ უფრო განიმტკიცა და დიდ შესვენებაზე 7 ქულით დაწინაურდა – 39:32.

მესამე პერიოდში ტიტებმა თამაში გარდატეხეს. ეს უპირველესად აკაკი ლომოურის დამსახურებაა, რომელმაც მესამე ათწუთეულში 4 სამქულიანი ჩააგდო და ტიტების გალიდერებას მნიშვნელოვანი ბიძგი მისცა. პერიოდი ბესო ლეჟავას გუნდმა 23:12 მოიგო და დასკვნით მეოთხედს 4-ქულიანი ჰანდიკაპით შეხვდა – 55:51.

დასკვნით პერიოდში თანაბარი თამაში წავიდა და ბოლოსწინა წუთზე თანაბარი ანგარიში (67:67) იყო. აქ ტიტებმა დაცვაში მოუმატა. ამას დაემატა ისიც, რომ თსუ-ს ფორვარდმა მიხეილ ბერიშვილმა ტექნიკური ჯარიმა მიიღო, რომელიც ჯორდან რობერტსონმა ქულად აქცია და ტიტები 68:67 დააწინაურა. საკვანძო გამოდგა ეპიზოდი, როცა ქაბილმა ბურთი დაკარგა, ხოლო ლომოურმა უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააგდო. უნივერსიტეტელებმა საპასუხო შეტევაც გაანიავეს, შეხვედრის ბედიც გაირკვა.

გამარჯვებულთაგან საუკეთესო იყო აკაკი ლომოური, რომელმაც 17 ქულასთან (5 სამქულიანი) ერთად 16 მოხსნაც მიითვალა და თავის გუნდს ფარქვეშ პოზიციები გაუმაგრა. ბომბარდირობა არავის დაუთმო ჯორდან რობერტსონმა, 11 ქულითა და 11 მოხსნით კი გუჯა ბირკაია გამოირჩა. თსუ-ში ზეშედეგიანი იყო ლოველ ქაბილი – 26 ქულა, 13 მოხსნა, 8 პასი. ნიკოლოზ დარბაიძის ანგარიშზე 13 ქულა და 11 მოხსნა დაგროვდა.

დუდუ დადიანის მემორიალის ფინალში ტიტები აქამდე ერთხელ – 2018 წელს ყოფილან, მაგრამ ტიტული დელტას დაუთმო.

იმერულმა კლუბმა კი დადიანის თასი ორჯერ – 2011 და 2020 წლებში მოიგო, ხოლო ორჯერაც – 2015 და 2016 წლებში ფინალები შესაბამისად ყაზახურ ბარსისთან და თბილისის დინამოსთან წააგო.

უმცროსი ბორჯღალოსნები ევროპის ჩემპიონები არიან

საქართველო-პორტუგალია 27:0

საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის ფინალში პორტუგალია 27:0 დაამარცხა და ტიტული შეინარჩუნა.

2015 წლიდან დღემდე საქართველომ ზედიზედ მეექვსე ფინალი ითამაშა და ზედიზედ მესამე გამარჯვება მოიპოვა. აღსანიშნავია, რომ წლევანდელ ჩემპიონატში „უმცროს ბორჯღალოსნებს“ ლელო არ გაუშვიათ და ერთადერთი 3 ქულა ბელგიისგან ჯარიმით მიიღეს.

პორტუგალიასთან საქართველო მე-3 წუთზე დაწინაურდა. 5-მეტრიანი დერეფნიდან აგორებული მოლი ლელოთი ნიკოლოზ ბაბუნაშვილმა დაასრულა, პეტრე ხუციშვილმა კი გარდასახა. მანვე ჯარიმით უპირატესობა გაზარდა, მე-17 წუთზე კი საბა არჩვაძემ საკუთარ ნახევარზე ფეხით გადაკიდებული ბურთი დაიჭირა, ხაზი გაარღვია და ინდივიდუალური, 60-მეტრიანი გარღვევა ლელოთი დაასრულა. ხუციშვილმა გარდასახა – 17:0.

მოლში უპირატესობა საქართველომ 32-ე წუთზე კიდევ ერთხელ გამოიყენა. დაახლოებით 20-მეტრიან ჯგუფურ რეიდს მოკლე დარტყმები მოჰყვა და რატი ზაზაძემ ლელო გაიტანა. 62-ე წუთზე ამ იარაღმა ერთხელაც იმუშავა და ამჯერად ლელო შეცვლაზე შესულმა კვაჭმა თორნიკე ბოყოველმა გაიტანა.

საბოლოოდ საქართველომ 27:0 იმარჯვა და თასი ზედიზედ მესამედ ჩაიბარა.

საქართველოს ნაკრების შემადგენლობა ევროპის ჩემპიონატის ფინალში ასეთი იყო: არჩვაძე, შ.აფციაური, კახოიძე, ბერაია, სახელაშვილი, ხუციშვილი, ხუროშვილი; მამაიაშვილი, ბაბუნაშვილი, ი.აფციაური, ლომიძე, ქურხული, ზაზაძე, ლ.ციხისთავი, სუთიძე;

მარქაფა: ბოყოველი, ფხაკაძე, ბ.ციხისთავი, ბაიხოიძე, კინწურაშვილი, ჯიღაური, იმნაძე, ცხოვრებაძე, ონიანი, მიქაძე, გერგედავა.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ციყვმა მანქანა თავისი ზამთრის მარაგის საწყობად აქცია

ამერიკის ქალაქ გრანდ-ფორკსის მკვიდრმა ბილ ფიშერმა საკუთარი ავტომობილის კაპოტის ქვეშ ციყვის მიერ შენახული 70 კილოგრამი კაკალი აღმოაჩინა.

როგორც ავტომობილის პატრონმა განაცხადა, ორი დღე დასჭირდა თავისი შევროლეს კაკლისგან გასათავისუფლებლად. ციყვმა, რომელიც ფიშერის სახლის მახლობლად ბინადრობს, მისი მანქანა ზამთრის მარაგის ერთგვარ საწყობად აქცია.

მისი მანქანა ციყვის საწყობად რომ იყო ქცეული, მამაკაცი თავიდან ვერ მიხვდა. როდესაც მან ძრავა აამუშავა, უცნაური ხმები შემოესმა. კაპოტის ახდის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ძრავის განყოფილება მთლიანად კაკლებით იყო სავსე.

– ავტომობილის ფრთების მოხსნაც კი მომიხდა, რათა კაკლები იქიდანაც ამომეღო, – აღიარა ამერიკელმა.

საგულდაგულო დასუფთავების შემდეგაც კი, მანქანის ზოგიერთ განყოფილებაში მაინც დარჩა ციყვის მარაგი.

– მანქანით მგზავრობის დროს კაკუნის ხმები მესმის. დარჩა ისეთი ადგილები, რომლებსაც, უბრალოდ, ვერ მივუდექი, – განმარტა ფიშერმა.

მამამ შვილი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ავსტრალიაში ნავი, რომელშიც მამაკაცი შვილთან ერთად იმყოფებოდა, გადატრიალდა და მამამ შვილი საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა.

33 წლის პიტერ ფინჩი და მისი პატარა შვილი ჯექსონი სამხრეთ უელსის შტატში, ტბა მაკურიზე კიაკით სეირნობდნენ. ერთ მომენტში ტალღამ მათი ნავი გადააბრუნა. მამაკაცმა შვილი აიტაცა და თავს ზევით ხელებით იჭერდა, რათა ბავშვი არ დამხრჩვალიყო.

მომხდარის თვითმხილველები სწრაფად მიცურდნენ მამა-შვილთან და ისინი ნაპირზე ამოიყვანეს. ბიჭი არ დაშავებულა, თუმცა მამამისი უგონო მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი გადარჩენა ვერ შეძლეს ვერც თვითმხილველებმა, რომლებმაც მაშინვე დაიწყეს მისთვის პირველადი დახმარების აღმოჩენა, ვერც შემთხვევის ადგილზე ორ წუთში მისულმა ადგილობრივი მაშველების ჯგუფმა.

დაღუპულ მამაკაცს, ბიჭის გარდა, მეუღლე და პატარა გოგონა დარჩა.

ბრიტანეთის დედოფალი ბარში საიდუმლო გასასვლელით დადის

ბრიტანეთის დედოფალ ელისაბედ II-ის ნათესავმა გაამხილა ის საიდუმლო გასასვლელი, რომელიც სამეფო სასახლეს მეზობელ ქუჩაზე მდებარე მდიდრულ ბართან აკავშირებს.

პრინცესა ევგენიას მეუღლე ჯეკ ბრუკსბენკმა ერთ-ერთი გამოცემის რედაქტორს უამბო გვირაბზე, რომელიც ლონდონში სენტ-ჯეიმსის სასახლეს შორიახლოს მდებარე სასტუმროსთან აკავშირებს. მისი დახმარებით სამეფო ოჯახის წევრებს შეუძლიათ, შეუმჩნევლად ეწვიონ სასტუმროს ბარს, სადაც მარტინი 17 ფუნტი სტერლინგი ღირს.

დედოფლის გატაცება საიდუმლო გასასვლელებით ცნობილია. 2015 წელს ერთ-ერთმა ადგილობრივმა ტელეკომპანიამ ბუკინჰემის სასახლის ერთ-ერთი სარკის უკან საიდუმლო კარი და დედოფლის პირადი მოსასვენებელი აღმოაჩინა.

უზარმაზარი ზვიგენი სერფერს თავს დაესხა

აშშ-ის სანაპიროსთან ტალღებზე მოსრიალე სერფერს თავს დიდი თეთრი ზვიგენი დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა.

კალიფორნიის შტატში, პარკ Salmon Creek State Park-ის სანაპიროსთან, სერფერების ჯგუფი ტალღებზე სრიალებდა.

– მოვარდა დიდი ტალღა და წამით ის (დაშავებული) თვალთახედვიდან გაუჩინარდა, ხოლო როდესაც ტალღამ გადაარა, მის ზურგსუკან ზვიგენის ფარფლი შევნიშნე, – განაცხადა ერთ-ერთმა თვითმხილველმა.

უზარმაზარი მტაცებელი თევზი მამაკაცს თავს დაესხა და კბილები ფეხში ჩაავლო. სერფერმა დაუხმარებლად შეძლო ნაპირამდე მიღწევა, თუმცა დაზიანებები საკმაოდ სერიოზული აღმოჩნდა.

– ის, ფაქტობრივად, წყლიდან ქვიშაზე ამოფორთხდა. ფეხზე ქამარი გადავუჭირეთ სისხლდენის შესაჩერებლად, – აღნიშნა თვითმხილველმა, რომელმაც დაშავებულს პირველადი დახმარება აღმოუჩინა. მან ასევე აღნიშნა, რომ ზვიგენის შეტევა მოულოდნელი არ ყოფილა. ის, როგორც ჩანს, გარკვეული დროის განმავლობაში მისდევდა სერფერს. შემთხვევის ადგილზე მისულმა მაშველებმა დაშავებული საავადმყოფოში გადაიყვანეს. ექიმების თქმით, მამაკაცის დაზიანებები მეტად სერიოზულია.

ღარიბმა მეთევზემ ნაპირზე მილიონი დოლარის ვეშაპის ამონანთხევი იპოვა

ტაილანდის პროვინცია სურატხანში ღარიბმა მეთევზემ პლაჟზე 30– კილოგრამიანი ვეშაპის ამონანთხევი იპოვა, რომლის ღირებულება მილიონ დოლარს აღემატება.

ნარონგ პლეტჩარაჯამ ნაპირზე უცნაური საგანი შენიშნა და იეჭვა, რომ ამბრას, ვეშაპის გაქვავებულ ამონანთხევს გადაეწყდა. მის შესახებ ნარონგს ტელევიზორში ჰქონდა ნანახი. ამაში დასარწმუნებლად მეთევზემ მისი მცირე ნაწილი გააცხელა და აღმოჩნდა, რომ ის კი არ იწვებოდა, არამედ დნებოდა. ნამდვილი ამბრა ცეცხლზე სწორედ ასე რეაგირებს.

პრინც სონკლას უნივერსიტეტის სპეციალისტებმა ნაპოვნის ანალიზი ჩაატარეს და დაადასტურეს, რომ ის ნამდვილად ამბრაა.

– ისეთი გახარებული ვარ, რომ არც კი ვიცი, როგორ მოვიქცე, – აღიარა პლეტჩარაჯამ, რომლის გამომუშავება თვეში რამდენიმე ას დოლარს არ აღემატება, – ამბრას გაყიდვა გადავწყვიტე, ვინაიდან უკვე მივიღე მისი ნამდვილობის სერტიფიკატი. თუ კარგ ფასად გაიყიდება, თევზაობას თავს დავანებებ და მეგობრებს წვეულებას გავუმართავ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

საქართველოს ძიუდოისტთა ახალგაზრდულმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატი ტრიუმფით დაასრულა



საქართველოს ახალგაზრდა ძიუდოისტთა ნაკრებმა ტრიუმფით დაასრულა გამოსვლა სარდინიულ ოლბიაში თანატოლთა მსოფლიოს ჩემპიონატზე.

მედლები მედლებად და ტურნირის ბოლო აკორდი მართლაც ტრიუმფალური და ჩემპიონთა სადარი გამოდგა, მძიმე წონის ფინალში, ანუ ჩემპიონატის ბოლო შეხვედრაში ინანეიშვილმა ისეთი იპონით დაამარცხა უნგრელი რიხარდ სიპოჟი! მათი ჯახი ერთი თვის წინ ჩატარებული ევროპის ჩემპიონატის ფინალის გამეორება გამოდგა. ამჯერად ყველაფერი საჩვენოდ დასრულდა და ინანეიშვილმა ღირსეული რევანში აუღო.

სულ კი ირაკლი ცირეკიძის კრებულმა ოლბიაში გამოსვლა 5 მედლით დაამთავრა – 4 ოქრო და 1 ბრინჯაო.

ინანეიშვილის გარდა, ჩემპიონები გიორგი სარდალაშვილი (60), გიორგი შერაზადიშვილი (81) და ილია სულამანიძე (100) გახდნენ. ბრინჯაო ირაკლი დემეტრაშვილმა (+100) მოიპოვა.

გუნდურ ჩათვლაში საქართველომ ყველა განზომილებაში გაიმარჯვა. თუ აქამდე მხოლოდ ვაჟებში ლიდერობდა, ახლა საერთო ჩათვლაშიც, ანუ გოგონებისა და ბიჭების შეჯამებულ შედეგებშიც პირველია, იმის მიუხედავად, რომ გოგონებში მხოლოდ 4 მონაწილით ვიყავით წარმოდგენილნი და მედალი საერთოდ არ მოგვიპოვებია. სწორედ გოგონების ფაქტორის გამო არ ვჭიდაობთ გუნდურ ტურნირს.

ბიჭებშიც 7-დან 5 წონაში გამოვდიოდით და უმედლოდ მხოლოდ ერთში – 90-ში დავრჩით, 4-ში კი ჩემპიონები გავხდით.

შედეგები

9 ოქტომბერი

ფეხბურთი

მრ-2022. შესარჩევი ეტაპი

ევროპა

ყაზახეთი-ბოსნია	0:2
ლიტვა-ბულგარეთი	3:1
აზერბაიჯანი-ირლანდია	0:3
საქართველო-საბერძნეთი	0:2
ფინეთი-უკრაინა	1:2
შვედეთი-კოსოვო	3:0
შოტლანდია-ისრაელი	3:2
ანდორა-ინგლისი	0:5
უნგრეთი-ალბანეთი	0:1
ლუქსემბურგი-სერბეთი	0:1
მოლდოვა-დანია	0:4
პოლონეთი-სან მარინო	5:0
ფარერები-ავსტრია	0:2
შვეიცარია-ჩრ.ირლანდია	2:0

აფრიკა

გვინეა-სუდანი	2:2
ეთიოპია-ს.აფრიკა	1:3
განა-ზიმბაბვე	3:1
ტოგო-ტონგო	1:1
გვინეა ბისაუ-მაროკო	0:3
სენეგალი-ნამიბია	4:1

ამხანაგური მატჩები

უზბეკეთი-მალაიზია	5:1
პორტუგალია-ყატარი	3:0

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ლუგო-ხირონა	1:0
მირანდესი-ეიბარი	3:3
ალმერია-ლას პალმასი	1:1
ოვიედო-ხიხონი	1:1

სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მაღლიერების წიგნი“ ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის. როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

ამკურნალოს: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.

ნანა ნადარეიშვილი: მაწუხებდა დისბაქტერიოზი, პარალელურად დამეწყო თმის ცვენა, მივმართე ქალბატონ ლამარას, ჩავიტარე მკურნალობა მისი მითითებით. ორ კვირაში მქონდა იდეალური შედეგი.

ხვიჩა გოგია: კანზე მქონდა გამონაყარი, ქალბატონი ლამარას დამზადებული სითხეებით ორგანიზმი გავიწმინდე, ვიყენებდი მისივე დამზადებულ მალამოებს, შედეგი მაქვს. დიდი მადლობა ქალბატონ ლამარას.

მზია დუნდუა: მქონდა ქალური პრობლემები, მივაკითხე ქალბატონ ლამარას და ვარ უკვე გამოჯანმრთელებული. დღესაც ვაგრძელებ მკურნალობას მისი მითითებით.

მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52

სამგლოვიარო განცხადებები

გურამ კვიკვინია, ნათელა ქიმერიძე, ომარ შურღაია და გიზო ზარნაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეგობრის, პროზაიკოსისა და დრამატურგის

დიმიტრი ლობჯანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

სანიოლისა და საქართველოს მორიგი მარცხი

საქართველო-საბერძნეთი 0:2

ბათუმი. აჭარაბეთ არენა

0:1 ბაკასეტასი (90პ), 0:2 პელკასი (90)

საქართველო: ლორია, კაკაბაძე, ხოჭოლავა, დვალი, გიორბელიძე, კანკავა, აბურჯანია (დავითაშვილი 90), კვარაცხელია, ჩაკვეტაძე (გვილია 60), ლობჟანიძე (ქვილითაია 90), მიქაუტაძე (ოქრიაშვილი 60)

საბერძნეთი: ვლახოდიმოსი, ჰაციდიაკოსი, მავროპანოსი, ცაველასი, ანდრუცოსი, სიოპისი (მანტალოსი 85), ბუჩალაკისი, ციმიკასი, მასურასი (ცოლისი 78), ბაკასეტასი, პავლიდისი (პელკასი 46)

ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო მატჩი წუთიერი დუმილით დაიწყო. თუმცა საქართველოს ნაკრებს „აჭარაბეთ არენის“ ტრიბუნებიდან ვერც ის მცირერიცხოვანი მაყურებელი დაეხმარა, რომელსაც, როგორც იქნა, მიეცა ეროვნული გუნდის ტრიბუნიდან გამხნევების უფლება.

საქართველოს ნაკრების მთავარ მწვრთნელ ვილი სანიოლს ტრავმირებული ოთარ კიტეიშვილი და დისკვალიფიცირებული გურამ კაშია და გრიგოლ ჩაბრაძე აკლდა.

ნაკრების შემადგენლობაში მე-100 მატჩი ითამაშა კაპიტანმა ჯაბა კანკავამ. ამ მაჩვენებლით ლევან კობიაშვილს დაეწია და ეროვნულ გუნდში ჩატარებული თამაშების მიხედვით თანარეკორდსმენი გახდა.

ტაქტიკური მონახაზი 4-2-3-1 იყო, თითქმის ოპტიმალური შემადგენლობა და მაინც წავაგეთ.

მე-10 წუთზე ზედიზედ 2-ჯერ გადავრჩით: პირველად გიორგი ლორიამ მოიგდო ბურთი, ხოლო შემდეგ გიორგი მასურასმა ააცილა კარს. ეს იყო და გოლიც გავუშვით, თუმცა საქმეში ვიდეორეფერი ჩაერია და გოლი გაუქმდა.

ოთარ კაკაბაძემ დაურტყა ოდისეას ვლახოდიმოსს, მაგრამ ვერ გაუტანა.

ნახევარი საათის თავზე გადავრჩით – ქართველი მცველისგან ასხლეტილი ბურთის შემდეგ ლორია სხვა მიმართულებით მოძრაობდა. 39-ე წუთზე მასურასის დარტყმის შემდეგ ლორიამ გადაგვარჩინა.

მეორე ტაიმი ბერძნებმა უფრო აქტიურად დაიწყეს. ჩვენები უსახურ, უფანტაზიო ფეხბურთს თამაშობდნენ და სტუმართა უპირატესობა აშკარა იყო. ელინები ჩვენი საჯარიმოს მისადგომებთან სახიფათოდ კომბინირებდნენ.

85-ე წუთზე ოქრიაშვილმა ჯარიმიდან ცადა გოლის გატანა, მაგრამ ვლახოდიმოსმა პოზიცია სწორად შეარჩია და ბურთი მოიგერია.

ბერძნები ფრეს არ სჯერდებოდნენ, ბოლომდე ცდილობდნენ, შინ 3 ქულით წასულიყვნენ და საწადელი ბოლო წუთებში აისრულეს. ახლა ვარი ჩვენ საწინააღმდეგოდ ჩაერია საქმეში. ლიტველი არბიტრი დონატას რუმშასი მონიტორისკენ გაემართა ეპიზოდის სანახავად, მოედანზე დაბრუნებულმა პენალტი დანიშნა. ბაკასეტასის დარტყმულს ლორიამ ვერაფერი მოუხერხა.

გოლს გოლი მოჰყვა – ოთარ კაკაბაძემ საკუთარი საჯარიმოს სიახლოვეს გასწვრივი პასი გააკეთა, ბურთს დიმიტრიოს პელკასი დაეუფლა, საჯარიმოში შეიჭრა და ოსტატურად გადაუგდო თავზე ლორიას – 0:2.

ბერძნებმა გვაჯობეს და ალალად მოგვიგეს. ისინი უკეთესები იყვნენ სტატიკასა და დინამიკაში, მოიგეს ორთაბრძოლების უმრავლესობა და, რაც მთავარია, ჯონი ვანტ სხიპმა აშკარად მოუგო უშუალო დუელი ვილი სანიოლს.

საქართველოს ნაკრებში არ იყო კრეატივი, არ იყო აგრესია, არ იყო ის მუხტი, რომელიც მოსაგებად დაგეშილ ყველა გუნდსა თუ ნაკრებს უნდა ჰქონდეს. სანიოლმა ვერაფერი შეცვალა თამაშში და ცვლილებებიც დააგვიანა.

ვილი სანიოლი:

– საწყისი 25 წუთი ძალიან უკმაყოფილო ვიყავი. მონდომება, აგრესია და თავდადება გვაკლდა. ნიჭი და ტექნიკა საკმარისი არ არის, საჭიროა 90 წუთი თავდადება და ბოლომდე დახარჯვა. კი, ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, მაგრამ მხოლოდ კონკრეტულ ეპიზოდში სირბილი არ გვყოფნის. პირველი ტაიმის ბოლო 15 წუთი და მეორე ტაიმის ნაწილი კარგად ჩავატარეთ. ოქრიაშვილი კარგად შევიდა და ის მონდომება აჩვენა, რაც სხვებისთვის სამაგალითო იყო. ბევრი ფეხბურთელით კმაყოფილი არ ვარ. ნაკრებში სხვაგვარი თავდადებაა საჭირო...

მარტში და დღეს გუნდმა განსხვავებულად ითამაშა, მაგრამ, რადგან მარტში და ივნისში კარგად ვითამაშეთ, ესე იგი შეგვიძლია. ახლა რომ ვერ ვითამაშეთ, რაღაც გვაკლდა, ეს რაღაც კი მონდომება, თავდადება და ბოლომდე დახარჯვაა. იყო დადებითი მომენტებიც, არც გაგვიმართლა, ბოლო წუთებზე შეცდომების ხარჯზე ქულები დავკარგეთ, მაგრამ ეს შედეგსა და გუნდის მორალურ მდგომარეობაზე მოქმედებს. იმედია, კოსოვოში ღირსებისთვის ვითამაშებთ, რომ ქულები ახლა მაინც მოვიპოვოთ.

ფრანგი სპეციალისტი თვლის, რომ შემადგენლობის მხრივ განვრცობას არ აპირებს.

– გადაწყვეტილებებს ვიღებ კლუბებში თამაშითა და ვარჯიშებზე ნანახიდან გამომდინარე, მაგრამ ამ თემის განვრცობას მიზანშეწონილად არ მივიჩნევ. გეთანხმებით, გუნდში პროგრესი უნდა იყოს, მარტის შემდეგ ყველამ დაიჯერა, რომ შვედეთისა და ესპანეთის ნაკრებებთან თანაბრად შეგვეძლო თამაში. მთავარი ისაა, რომ მაშინდელი მონდომება არა შეინიშნება. ეს აუცილებლად უნდა დაბრუნდეს...

არიან ფეხბურთელები (აბურჯანია და გიორბელიძე), რომლებმაც უნდა ითამაშონ, სხვაგვარად ნაკრებში თამაში გაუჭირდებათ და მათი გამოძახება მეც გამიჭირდება.

ჯონ ვანტ სხიპი:

– უპირველესად, საბერძნეთის ფეხბურთის ფედერაციისა და ჩემი სახელით მწუხარებას გამოვთქვამთ ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო. ეს ჩვენი სასტუმროს გვერდით მოხდა და მძიმე ვითარება იყო... მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლის შანსს ჩვენ მხოლოდ 3 ქულა გვინარჩუნებდა. მიხარია, რომ ბოლო წუთებზე შევძელით და მიზანს მივაღწიეთ. მთავარია, ბრძოლისუნარიანობა გამოვავლინეთ და ეს დასტურია იმისა, რომ ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი. სალონიკიში საქართველოს ნაკრები კარგად გამოიყურებოდა. თბილისში ჩვენ უკეთ ვითამაშეთ და ბოლო წუთებზე მოვახერხეთ თქვენი ნაკრების გატეხა. თუმცა, მიმაჩნია, რომ საბერძნეთისა და საქართველოს ნაკრებები დაახლოებით თანაბარი დონის გუნდები არიან და ამ მატჩშიც გამოჩნდა, რადგან ბოლო წუთებამდე გაგვიჭირდა...

დიახ, გამარჯვებაში ტექნოლოგია დაგვეხმარა, მაგრამ, მინდა შეგახსენოთ, რომ მანამდე ვიდეორეფერიმ ჩვენი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღო და გოლი არ ჩაგვითვალა, თუმცა მთელი 90 წუთი მომენტებს ვქმნიდით. მეტოქემაც შეგვიქმნა პრობლემები, სახიფათო იყო კვარაცხელიას შეტევები, მაგრამ მიმაჩნია, რომ დღეს ჩვენ დამსახურებულად გავიმარჯვეთ.

ჩვენივე ჯგუფში შვედეთმა 3:0 დაამარცხა კოსოვო. გოლები ფორსბერგმა, ისაკმა და კუაისონმა გაიტანეს.

სატურნირო ცხრილი:

1.ესპანეთი	6	4	1	1	13-5	13
2.შვედეთი	5	4	0	1	10-3	12
3.საბერძნეთი	5	2	3	0	7-4	9
4.კოსოვო	6	1	1	4	3-12	4
5.საქართველო	6	0	1	5	2-11	1

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. ქარის მიმართულებისა და სიჩქარის განმსაზღვრელი ხელსაწყო; 2. სატანვარჯიშო სკოლა ძველ საბერძნეთში; 3. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 4. ტრამვაის მძღოლი; 5. სპორტის სათამაშო სახეობა; 10. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 11. ჩქარტემპიანი ესპანური ცეკვა გიტარისა და კასტანიეტების თანხლებით; 12. ალუმინის შემცველი მადანი; 13. ცნობილი უკრაინელი ფეხბურთელი; 16. ლატვიის ისტორიული სახელწოდება; 17. საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი; 19. ნადირთა მფარველი ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 21. ფრანგული მინერალური წყალი; 23. ზაქარია ფალიაშვილის ოპერა.

თარაზულად: 6. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი ნავი; 8. შტატი აშშ-ში; 9. ტყავის დამამუშავებელი საამქრო ძველად; 14. ჩეჩნების, ინგუშების საერთო სახელწოდება ძველად საქართველოში; 15. ორკუზიანი აქლემი; 18. ბაღჩეული ხილი; 20. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 22. სან-რემოს კინოფესტივალის გრანპრის მფლობელი აბულაძის მხატვრული ფილმი; 24. რუსეთში მოღვაწე ქართველი ესტრადის მომღერალი მამაკაცი; 25. ვინმეს ან რაიმეს მიმართ გადაჭარბებული თაყვანისცემა; 26. სახელმწიფო ბალკანეთის ნახევარკუნძულზე.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. იედო; 2. არა; 3. ალარმისტი; 4. კიაზო; 5. გაუტამა; 8. სვია; 9. ჰიპნოზი; 10. გენეტიკა; 12. წულაძე; 13. კრონა; 15. მეოხი.

თარაზულად: 1. იდიოტია; 6. გლიპტიკა; 7. დასტა; 10. გერბი; 11. ხიხვი; 13. კანტე; 14. ზუმხა; 16. არგო; 17. იქთიოლი; 18. საცივი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბახმარო; 2. ცერცვაძე; 3. მზეჭაბუკი; 4. მორთული; 5. ნიშნიანიძე; 10. ბედეგი; 11. სერფინგი; 12. ხარფუხი; 13. დიონისე; 16. საკრებულო; 17. ქობულეთი; 19. ალბანეთი; 21. გრენა; 23. რკალი.

თარაზულად: 6. მარსეილიოზა; 7. როლექსი; 8. საცივი; 9. პაპირუსი; 14. პირსინგი; 15. შერვაშიძე; 18. მაგმა; 20. კორსიკა; 22. ვერმუტი; 24. პრემია; 25. მუკუზანი; 26. სალათი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

11 ოქტომბერი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.1298

ევრო — 3.6193

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.2662

100 რუსული რუბლი — 4.3453

ამინდის პროგნოზი 11 ოქტომბრისათვის



უსმან დემბელე მოედანს მალე დაუბრუნდება



ბარსელონის ფორვარდი უსმან დემბელე მოედანს მალე დაუბრუნდება, თუმცა, მოხდება თუ არა ეს ვალენსიასთან მატჩში, ჯერ ცნობილი არ არის.

დემბელემ ტრავმა ევროპის ჩემპიონატზე მიიღო და მას შემდეგ მოედანზე არ გამოსულა. პირველი ვარაუდით, ის სექტემბერში უნდა დაბრუნებულიყო, მაგრამ ტრავმა იმაზე სერიოზული აღმოჩნდა, ვიდრე ვარაუდობდნენ და დემბელე მოედანზე ოქტომბრის ბოლოს გამოვა.

რაფაელ ვარანმა პრემიერ ლიგაზე ისაუბრა

რაფაელ ვარანმა პრემიერ ლიგაში თავის გამოცდილებაზე ისაუბრა და თქვა, რომ ინგლისის ჩემპიონატში თამაში ძალიან რთულია და იქ ნებისმიერ ფეხბურთელს გაუჭირდება. მიუხედავად ამისა, ვარანის აზრით, მან საკმაოდ ადვილად შეძლო ადაპტაციის გავლა:

– პრემიერ ლიგა საუკეთესო ჩემპიონატია და ჩემთვის დიდი პატივია აქ მოხვედრა. მანჩესტერ იუნაიტედი მხოლოდ უმაღლესი მიზნებისთვის იბრძოლებს და მე მათ აუცილებლად დავეხმარები.

პოლ სქოულზი: „ჩემპიონატს ლივერპული ან მანჩესტერ სიტი მოიგებს“

მანჩესტერ იუნაიტედის ლეგენდამ პოლ სქოულზმა პრემიერ ლიგის გამარჯვებულის თაობაზე თავისი პროგნოზი გააკეთა და თქვა, რომ ჩემპიონატის ბედი ლივერპულსა და მანჩესტერ სიტის შორის გადაწყდება.

სქოულზის აზრით, სხვა გუნდებს ნაკლები შანსი აქვთ:

– მინდა, დაძაბული პაექრობა ვიხილო და ეს, სავარაუდოდ, ასეც იქნება, თუმცა მეეჭვება, რომ ლივერპულსა და მანჩესტერ სიტის ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ქალმა ლეოპარდის თავდასხმა ხელჯოხით მოიგერია

ინდოეთის ქალაქ მუმბაიში, აარის ტყის მახლობლად, 55 წლის ნირმალადევი სინგხს თავისივე სახლის ეზოში თავს ლეოპარდი დაესხა.

სათვალთვალო კამერებმა დააფიქსირეს ის მომენტი, როდესაც ლეოპარდი სახლის ბაღში მჯდომი ქალის ზურგს უკან გამოჩნდა. რამდენიმე წამის შემდეგ ქალმა მტაცებელი ცხოველი შენიშნა და ხელჯოხი მოიმარჯვა. სწორედ ამ დროს ლეოპარდი მას თავს დაესხა. თუმცა ქალი არ დაიბნა და მისი მოგერიება ხელჯოხის გამოყენებით მოახერხა. როდესაც სინგხმა მტაცებელს ხელჯოხი თავში ჩასცხო, მან თავი დაანება და გაიქცა.

ადგილობრივი სატყეო მეურნეობის დეპარტამენტის წარმომადგენლის გაჯანან ხაირას თქმით, დაშავებული ქალის სხეულზე დარჩენილი ბრჭყალების ნაკვალევით ჩანს, რომ მას თავს მოზრდილი ლეოპარდი დაესხა. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში მეორე თავდასხმაა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

11 ოქტომბრისათვის

ვერძი – სასიცოცხლო პოტენციალი მაღალია. განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება დღის მეორე ნახევარი. **კურო** – დღეს მოსალოდნელია ძველი, დავიწყებული კავშირების აღდგენა. ემოციებს გასაქანს ნუ მისცემთ. **ტყუპები** – იმედი გიცრუვდებათ. ნებისმიერი კომერციული საქმიანობა ფინანსურად დაგაზარალებთ. **კირჩხიბი** – ნურაფერს დაგეგმავთ. ეცადეთ, ეს დღე მშვიდ გარემოში გაატაროთ. დაკმაყოფილდით იმით, რაც გაქვთ. **ლომი** – კეთილისმყოფელი დღეა. განსაკუთრებით გიმართლებთ პირად ცხოვრებაში. სასიცოცხლო პოტენციალი მძლავრია. **ქალწული** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. იღბლიანი დღეა ასევე საყიდლებზე წასასვლელად, სამოგზაუროდ. **სასწორი** – ჯანმრთელობას გაუფრთხილდით. ერიდეთ სარისკო გადაწყვეტილებების მიღებას. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი თვალსაზრისით წარმატებული დღეა. იზრდება თქვენი პიროვნული ხიბლი. **მშვილდოსანი** – ახალ საქმეს ნუ დაიწყებთ. ერიდეთ ფუჭ საუბრებსა და შეხვედრებს. ეცადეთ, მეტი დრო გაატაროთ ბუნების წიაღში. **თხის რქა** – მნიშვნელოვანი საქმეების მოსაგვარებლად კეთილისმყოფელი პერიოდია. დღე რაციონალურად დაგეგმეთ. **მერწყული** – ფინანსური პრობლემების მოგვარება დიდ დროსა და ენერგიას წაგართმევთ. საჭიროების შემთხვევაში დახმარებისათვის კომპეტენტურ ადამიანებს მიმართეთ. **თევზები** – ეცადეთ, გარშემომყოფებთან მშვიდი და ჰარმონიული ურთიერთობა შეინარჩუნოთ. დღის მეორე ნახევარში სასიყვარულო ურთიერთობაში გაურკვევლობა იჩენს თავს.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

იუმორი

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს უხმობს და ეუბნება:

– ეს ლიმონათი ნამეტანი მღვრიეა.

– არა, ბატონო, უბრალოდ, ჭიქაა გაურეცხავი და...

●●●

სახლში დაბრუნებულ კაცს თავისი ძაღლი გაავებული ყეფით დახვდა. კაცმა ცოლს გასძახა:

– ქალო, რა უთხარი ასეთი ამ ძაღლს, სახლში რომ არ მიშვებს? უთხარი, რომ ქუჩიდან მყავს აყვანილი?

●●●

ბავშვი დედას ეკითხება:

– დედიკო, ძალიან გიყვარვარ?

– რა თქმა უნდა, შვილო და რატომ მეკითხები?

– მაშინ, მამიკოს გაშორდი და იმ კაცს გაჰყევი ცოლად, ქუჩის კუთხეში ნაყინს რომ ყიდის.

●●●

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს ეკითხება:

– ჩემს საცივში ბუზი რატომ აგდია?

– რამდენი გადაიხადეთ, ბატონო?

– სამი ლარი.

– ინდაურისბარკლიანი ათი ლარი ღირს.

●●●

მასპინძელი სტუმართან თავს იწონებს:

– ჩემი ორი წლის ბიჭმა უკვე თვლა ისწავლა. აბა, შვილო, ათამდე დათვალე.

ბავშვმა დაიწყო:

– ერთი, ორი, სამი, ოთხი.... ათი.

ამ დროს სტუმარი ეკითხება:

– აბა, ათის ზევით თუ დამითვლი?

– „ვალეტი“, „დამა“ „კაროლი“, „ტუზი“.

●●●

სამსახურიდან სახლში დაბრუნებულ ქმარს ცოლი ეკითხება:

– როგორი გოგოა შენი ახალი მდივანი?

– კარგი გოგოა.

– სიმპათიურია?

– კი.

– და როგორ იცვამს?

– თვალის დახამხამებაში.

●●●

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– გოგონი, რა იქნება, თუ გაკოცებ?

– შენ რა, ანატომია არ გისწავლია? არაფერიც არ იქნება!

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ტარიელ ხარხელაური: „მარტო მისამძიმრებითა და ჭირის გაზიარებით გულს ვერ მოვიოხებთ“



პოეტი ტარიელ ხარხელაური ბათუმში დატრიალებულ ტრაგედიას მთელ საქართველოს უსამძიმრებს:

– ბათუმში მომხდარი ტრაგედიის გამო მარტო მისამძიმრებითა და ჭირის გაზიარებით გულს ვერ მოვიოხებთ, ვერც ტკივილს დავადებთ საჭირისუფლო ფასს, თუ ეს სატკივარი მთელი ქვეყნის სატკივრად, თითოეული ჩვენგანის სულის ტკივილად არ ვაქციეთ.

ასეთი შემზარავი ტკივილის დროს არც მხოლოდ ცრემლის დენაა ჭირის განსაკურნებლად საკმარისი. ეს ჭირისუფალთა დასაიმედებლად ნათქვამი სიტყვა არის და არც სანუგეშებლად აქვს დიდი მანძილი.

ეს ჩემი და ჩემი ოჯახის განუკურნებელი სატკივარია, რომელსაც, თუ რაიმე ტკივილისა გაიგება, სრულად ვგრძნობთ. თავს უფლებას ვაძლევ, ჩემი ოჯახის სახელით აჭარასა და სრულიად საქართველოს მივუსამძიმრო. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჭირში მაინც ერთიანნი ვიქნებით.

გოგა ჩანადირი: „უეცრად მოდის ხოლმე სიკვდილი“

ფოტოხელოვანი გოგა ჩანადირი ადამიანებს სთხოვს, ერთმანეთს მეტად მოეფერონ, თბილი სიტყვები უთხრან და სიკეთე უსურვონ:

– ტრაგედიები აჩვენებს, რომ ერთ დღესაც შეიძლება გაიღვიძო და ნახო, რომ შენი საყვარელი ადამიანი რაღაც უაზრო შემთხვევას შეეწირა.

მერე ხვდები, რომ მას სათანადოდ არ მოეფერე, არ აავსე თბილი სიტყვებითა და კეთილი სურვილებით. ისე ხშირად არ უღიმოდი, არ იხუტებდი ან თავად შენ არ ეხუტებოდი.

და ყოველ ჯერზე იმასაც ხვდები, მართლა რა უაზრობაა ადამიანებისთვის ტკივილის მიყენება, ლანძღვა, შეურაცხყოფა, ტყუილი.

უეცრად მოდის ხოლმე სიკვდილი და თან დიდი ტკივილით, მაგრამ მის მოსვლამდე გაქვს დრო, რომ სხვა ადამიანები გააბედნიერო, გაახარო, გაათბო.

„ღმერთმა იცის, შენს ტკივილს როგორ ვგრძნობ“

გელა დაიაურის მიმართვა რამაზ დავლაძეს

პოეტმა გელა დაიაურმა მიმართა აჭარელ რამაზ დავლაძეს, რომელსაც ბათუმში შენობის ჩამონგრევის შედეგად მეუღლე და შვილები გარდაეცვალა:

– ჩემთვის უცნობო აჭარელო ძმაო, ღმერთმა იცის, როგორ ვგრძნობ, რა ტკივილს გრძნობ, რა სიცარიელეა შენს სულში, როგორი ცივი გახდა სამყარო შენთვის! დიდი განსაცდელი მოგივლინა ღმერთმა. რამდენი პასუხგაუცემელი კითხვა იტრიალებს შენს გონებაში. მთელი ცხოვრება მოგიწევს ამ ტკივილის ტარება და მასთან ერთად ცხოვრება.

ძალიან მეცოდები და მტკივა შენი ტკივილი. სულითა და გულით თანაგიგრძნობ და თანავუგრძნობ ყველა გარდაცვლილის ახლობლებსა და სრულიად საქართველოს!

არ მინდოდა ისედაც მძიმე ფონის დამძიმება. მომიტევე. უბრალოდ, თავი ვალდებულად ჩავთვალე, მცირედით მაინც გამემხნევებინე ჩემი თანაგრძნობით!

„არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე ნანგრევებიდან გარდაცვლილი ბავშვის ამოყვანის სცენა“

მწერალი და პოეტი გიორგი კეკელიძე ბათუმში ერთ-ერთი კორპუსის სადარბაზოს ჩამონგრევის თემას ეხმაურება:

– არაფერია იმაზე საშინელი, ვიდრე ნანგრევებიდან გარდაცვლილი ბავშვის ამოყვანის სცენა. თითქოს სხვა სამყარო, რომელიც ირგვლივაა, საკუთარი წარსულითა და მომავლით, უქმდება და უფასურდება.

და განწირული მამის ხმა: „სად ხართ, შვილებო?! ღმერთო, დამეხმარე!“

თვითონაც ნანგრევებად ქცეულები, ვუყურებთ ეკრანს, რომელიც, თავგანწირული მაშველების ფონზე, გარდაცვლილების რიცხვის ზრდას გვაცნობს. ვუყურებთ და ვერაფერს ვფიქრობთ.

ახლა სხვა ყველაფერი ყალბი მგონია, გარდა ამ გაყინული, უფიქრო შეძრწუნებისა. ის სიტყვებიც ყალბია, რომ თითქოს წუთისოფლის წამიერება შევიგრძენით და უფრო დავაფასებთ ერთმანეთს და ცოცხლად ნაკლებად დავღრღნით. ყველაფერი ყალბია, გარდა იმ ორ „ჯანმრთელ“ სახლს შორის სიკვდილის ღია პირივით დაფჩენილი ნასახლარი ნაპრალისა.

ეს ნანგრევების დღე და ღამეა და ასეც დარჩება ჩვენს ბედკრულ ისტორიაში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოხსვოხდი ა



შვეულად: 1. ავეჯის მწარმოებელი შვედური ფირმა; 2. მუსიკალური პრემია აშშ-ში; 3. მეფედ კურთხევის საზეიმო ცერემონიალი; 4. საქართველოს ფეხბურთელთა ნაკრების მეკარე; 5. მატყუარა, ყალთაბანდი ადამიანი; 8. ესპანელი სიურეალისტი მხატვარი; 9. კარაქის შესადღვები ხის მოგრძო ჭურჭელი; 10. ზოგიერთ ქვეყანაში მინისტრთა ერთობლიობა; 12. მონასტერი ხულოს რაიონში; 13. თეთრი ფერის ნახევრადტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 15. ოპტიკური მინების მწარმოებელი გერმანული ფირმა.

თარაზულად: 1. ქართველი მევიოლინე ქალი; 6. მცირე ზომის პროზაული ნაწარმოები; 7. ერთწლიანი ბალახოვანი მცენარე, რომლის ფესვებისაგან ამზადებენ წითელი ფერის საღებავს; 10. ნეონის ნატურის გამომგონებელი ფრანგი ფიზიკოსი; 11. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ფირმა; 13. საქართველოში გავრცელებული ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც იღებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 14. შავი, ლურჯი ფერის მქონე ტკბილნაყოფიანი კენკროვანი ბუჩქი; 16. ხოხბის, კაკბის, გნოლის ბარტყი; 17. მაღალხარისხოვანი ყავის ერთ-ერთი ჯიში; 18. სადაზღვევო მოწმობა.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა